

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
(USAID)

მიზანდების საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი

2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული
კვლევის ანგარიში

0120ლ0ს0

2010

შ ი ნ ა პ ს ი

შესავალი.....	3
1. საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებლები	7
2. კვლევის ძირითადი შედეგები	20
2.1. სამეწარმეო აქტიურობა და მისი ცვლილების ტენდენციები.....	20
2.2. ადამიანური რესურსები და მოთხოვნა სამუშაო ძალაზე	33
2.3. ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი მიმართულებები	44
დასკვნები და რეკომენდაციები	55
დანართი 1. პროფესიები, რომელთა კადრების მოძიება დამსაქმებლებისთვის პრობლემატურია (საწარმოების რაოდენობა).....	63
დანართი 2. პროფესიები, რომელთა კადრების მოძიება დამსაქმებლებისთვის პრობლემატურია (საწარმოების რაოდენობა).....	68
დანართი 3. მოთხოვნა სამუშაო ძალაზე მომდევნო ერთი წლის განმავლობაში პროფესიისა და რეგიონის მიხედვით.....	77

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. ამ ამოცანების გადაჭრა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა.

შრომის ბაზრის რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ობიექტური გარემოებებით:

- შრომის ბაზარი არ არის თვითრეგულირებადი სისტემა და მას არ შესწევს უნარი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავისთავად უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ეკონომიკური დაცემის პერიოდში დასაქმების სტაბილიზაცია, უმუშევრობის ზრდის შეჩერება და ა.შ.;
- სტიქიურად განვითარებადი შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი არიან და სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ მხარდაჭერას საჭიროებენ;
- შრომის ბაზარი თავისთავად ვერ არეგულირებს სოციალურად დასაშვებ დონეზე უმუშევრობის დონის შენარჩუნებას, არ გააჩნია მოქალაქეთა შრომის უფლებების თანაბარი რეალიზაციის მექანიზმი და ვერ უზრუნველყოფს უმუშევრობართა სოციალურ დაცვას.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანია შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში საბაზო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ამ პროცესში ბევრი პრობლემა და გამოწვევა არსებობს. ამ პრობლემათა შორის განსაკუთრებით აქტუალურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მკვეთრი დისბალანსი, უმუშევრობის მაღალი დონე და სამუშაო ძალის დაბალი დირებულება.

შრომის სფეროში ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია ბაზარზე არსებული სიტუაციის, მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციების, უმუშევრობის განმაპირობებელი მიზეზების სისტემატური კვლევა. ასეთი კვლევები საქართველოში სახელმწიფოს დონეზე¹, სამწუხაროდ, არ ტარდება. ცალკეული კვლევები კი არ იძლევა სიტუაციის კომპლექსური შეფასებისა და მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირების შესაძლებლობას როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ და სექტორულ დონეზე.

2007-2010 წლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ განხორციელებული კვლევები² ამ ვაკუუმის შევსების გარკვეული მცდელობაა. აღნიშნულ კვლევებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლაზე, რადგან ასეთი ინფორმაცია აუცილებელია პროფესიული სწავლების პროგრამების დაგეგმვა-რეალიზაციისათვის, რაც, თავის მხრივ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების ძირითადი ბერკეტია.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია IOM-ის მიერ 2010 წლის ივნის-ივლისში ორგანიზებული სპეციალური კვლევის შედეგები, რომელიც USAID-ის პროექტის - „სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და დასაქმება“ - ფარგლებში ჩატარდა.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის შესწავლა ეკონომიკური საქმიანობის სფეროებისა და რეგიონების მიხედვით, აგრეთვე, იმ

¹ შინამეურნეობების კვლევის ბაზაზე დაყრდნობით ქვეყნდება მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური მაჩვნებლები მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ.

² [ob. www.iom.ge](http://www.iom.ge)

ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე.

კვლევის ჩასატარებლად შემუშავებული იქნა სამი ფორმის კითხვარი: კითხვარი №1 გათვალისწინებული იყო სამეწარმეო სუბიექტების (დამსაქმებლების) გამოსაკითხად; კითხვარი №2 – სახელმწიფო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გამოსაკითხად; კითხვარი №3 – სოფლის რწმუნებულებისა და ფერმერების გამოსაკითხად.

სამეწარმეო სუბიექტების შესარჩევად თავდაპირველად გამოყენებული იქნა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მოქმედი საწარმოების ნუსხა (2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), რომელიც კვლევის პროცესში არსებითად დაზუსტდა.³ ფაქტორებივად ფუნქციონირებად საწარმოთა შერჩევისას გამოყენებული იქნა შემდეგი მიღება:

- **მოქმედი მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები სრულად იქნა გამოკითხული** (იმ საწარმოთა გამოკლებით, რომელთა ხელმძღვანელებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, ანდა რომლებთან კვლევის პროცესში დაკავშირებაც შეუძლებელი იყოს);
- **მოქმედი მცირე ზომის საწარმოები გამოიყოთხა შერჩევის მეთოდით.** შერჩევის კრიტერიუმები იყო საქმიანობის სფერო (კვლევას უნდა მოეცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფერო) და დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა (არანაკლებ 2 დაქირავებით მომუშავისა).

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა ქალაქებისა და რაიონების მმართველობისა და თვითმმართველობის, რაიონებში მოქმედი დონორი და საფინანსო ორგანიზაციების (რომლებიც რეგიონებში ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერ პროექტებს ახორციელებენ) წარმომადგენელთა ანკეტური გამოკითხვა. სოფლის რწმუნებულების გარდა, სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების შესასწავლად გამოკითხული იქნა ფერმერთა ნაწილიც.

³ მოქმედ საწარმოთა ნუსხაში ასახული საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტორივად ადარ არსებობდა და ამიტომ არ შეტანილა რეალურად ფუნქციონირებადი საწარმოების ნუსხაში.

კვლევის ჩასატარებლად რეგიონებში შეირჩნენ ადგილობრივი ინტერვიუერები. კვლევითი სამუშაოების დაწყებამდე მათ ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები და დეტალური ინსტრუქტაჟი.

კვლევამ მოიცვა საქართველოს მთელი ტერიტორია და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფერო. **ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით** გამოიკითხა 4 512 რესპონდენტი. არასრულად შევსებული კითხვარების გამორიცხვის შემდეგ საბოლოოდ დამუშავდა 4 483 რესპონდენტის პასუხები. აქედან 3 484 იქო ბიზნეს-სუბიექტი, 437 – სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 562 – ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, რაიონებში მოქმედი დონორი და საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენელი და ფერმერი.

კვლევის შედეგები კომპიუტერული წესით დამუშავდა. კომპიუტერში მონაცემთა შეყვანა, შესაბამისი ბაზის ფორმირება, შეწონვა და აგრეგირება განხორციელდა **MS ACCESS™**-ში. გამოსავალი ინფორმაცია მომზადდა **MS EXCEL™**-ში, საბოლოო ცხრილები - **MS WORD™**-ში.

კვლევის მეთოდურ და ორგანიზაციულ მომზადებას, მიმდინარეობის მონიტორინგს, კვლევის შედეგების დამუშავებას ხელმძღვანელობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრის (JCP) კოორდინატორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ციური ანთაძე. მასვე ეკუთვნის წინამდებარე ანგარიშის ტექსტიც.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული იქნა როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები, ისე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს მთავრობის, ასევე, სხვა სპეციალური კვლევების მასალები.

1. საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებლები

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ძირითადი ფუნქციაა შესაბამისი ადამიანური რესურსებით წარმოებისა და მომსახურების სფეროების უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კაպოფილება.

შრომის ბაზრის ფუნქციონირებაც, თავის მხრივ, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური). შრომის ბაზარზე მათი გადაკვეთით გარკვეულწილად ქვეყანაში არსებული ვითარება ფოკუსირდება.

საქართველოს შრომის ბაზარი თანამედროვე ეტაპზე ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთაგან ძირითადია:

- მოსახლეობის დასაქმების დაბალი და უმუშევრობის მაღალი დონეები;
- მოქმედების შეზღუდული არეალი;
- „მეორადი შრომის ბაზრის“ დომინირება „პირველად ბაზარზე“;
- უმუშევრებში ახალგაზრდებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირების მაღალი ხევდრითი წონა;
- სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება;
- შრომით ურთიერთობებზე სახელმწიფო კონტროლის არარსებობა;
- განუვითარებელი ინფრასტრუქტურა;
- შრომის ბაზრის ნაკლები ელასტიურობა;
- “ხანგრძლივად” უმუშევართა მაღალი წილი;
- სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილურობა;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მკვეთრი დისპარანსი.

საქართველოს შრომის ბაზრის პირველი ძირითადი მახასიათებელია მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე, რაც ქვეყნის ეკონომიკური განუვითარებლობითა და სამუშაო ადგილების სიმცირით არის განპირობებული.

1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის შედეგად საქართველოში 1990-1998 წლებში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 8-ჯერ და მეტად შემცირდა.⁴ 1999-2003 წლებში მშპ-ს წარმოების ზრდის ტემპა წლიწლით საშუალოდ 3-4% შეადგინა, რაც გაჩანაგებული ეკონომიკის აღორძინებისათვის საკმარისი ნამდვილად არ იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში (2004-2007 წწ.) განხორციელებული რეფორმების, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღების მიზნით გატარებული ღონისძიებების (საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, გადასახადების შემცირება, ბიზნესის დაწყებისათვის პირობების სრულყოფა, კორუფციასთან ბრძოლა, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება და ა.შ.) შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა მშპ-ს წარმოების ზრდის ტემპი (საშუალოდ 9,3%). მაგრამ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებებისა და მოგვიანებით განვითარებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება პვლავ გაუარესდა: 2008 წელს მშპ-ის მატების ტემპმა, წინა წელთან შედარებით, 2,2% შეადგინა, ხოლო 2009 წელს 2008 წელთან შედარებით 5,9%-ით შემცირდა⁵. 2010 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა ეკონომიკის გამოცოცხლების ტენდენცია, რაც მომავლისადმი ოპტიმისტური განწყობის საფუძველს იძლევა.

2009 წლის მდგომარეობით საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2450 აშშ დოლარს შეადგენდა.⁶ ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო ჩამორჩება არა მარტო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობასაც (უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის გარდა)⁷.

ეკონომიკური განვითარების დონე და ტენდენციები უშუალოდ აისახება სამუშაო ადგილების რაოდენობის ცვლილებასა და მოსახლეობის დასაქმებაზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 1990-2000 წლებში ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა 1 მლნ 14 ათასი კაცით შემცირდა⁸. შამწუხაროდ, ეკონომიკის პერიოდულ გამოცოცხლებასა და განვითარების ტემპების დაჩქარებას თან არ ახლდა სამუშაო ადგილების საერთო

⁴ საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული - 2001. თბილისი, 2002, გვ. 26-27.

⁵ http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

⁶ http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

⁷ UNDP. Human Development Reports. 2009. გვ. 196-198.

⁸ საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული - 2001. თბილისი, 2002, გვ. 50.

რაოდენობის მატება, რადგან გარკვეულ სფეროებში სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა სხვა სფეროებში (განსაკუთრებით, სახელმწიფო სექტორში) დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ადგილების რაოდენობის კლება ბოლო წლებშიც საკმაოდ ინტენსიურია: 2007 წელს იგი 43 ათასი ერთეულით შემცირდა, ხოლო 2008 წელს – 102,4 ათასი ერთეულით. შესაბამისად, 2008 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი 3,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16,5% შეადგინა. 2009 წელსაც უმუშევრობამ თითქმის 20 ათასი კაცით მოიმატა და 16,9%-ს მიაღწია (იხ. ცხრილი 1.1).

ცხრილი 1.1. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით, 1998–2009, ათასი კაცი


	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	2050,8	2041,0	2023,9	2021,8	1965,3	1917,8	1991,8
დასაქმებული	1814,9	1783,3	1744,6	1747,3	1704,3	1601,9	1656,1
დაქირავებული	618,5	600,9	600,5	603,9	625,4	572,4	596,0
თვითდასაქმებული	1195,2	1180,8	1143,3	1141,6	1078,8	1028,5	1059,0
გაურკვეველი	1,3	1,6	0,8	1,8	0,1	1,1	1,2
უმუშევრი	235,9	257,6	279,3	274,5	261,0	315,8	335,6
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1048,4	1105,9	1136,1	1228,0	1138,6	1145,2	1139,3
უმუშევრობის დონე (%)	11,5	12,6	13,8	13,6	13,3	16,5	16,9
აქტიურობის დონე (%)	66,2	64,9	64,0	62,2	63,3	62,6	63,6
დასაქმების დონე (%)	58,6	56,7	55,2	53,8	54,9	52,3	52,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების გამო უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად რჩება. უმუშევრობის ზრდის პარალელურად მცირდება მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების დონე (იხ. დიაგრამა 1). უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის შემცირება აიხსნება როგორც ე.წ. „ხელჩაქნეული უმუშევრების“ რაოდენობის ზრდით, ისე საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებით. კერძოდ, სულ უფრო მცირდება სამუშაო ასაკში შემსვლელთა რაოდენობა და იზრდება საპენსიო ასაკის

მოსახლეობის რიცხოვნობა, რის შედეგადაც კლებულობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) ოდენობა. თეორიის დონეზე ეს შეიძლება განხილული იქნეს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის სიჭარბისა და უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთ ხელშეწყობ ფაქტორად, მაგრამ მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ეს გარემოება სინამდვილეში კიდევ უფრო ზრდის დასაქმებულთა ეკონომიკურ დატვირთვას და ნეგატიურად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, მით უფრო იმ პირობებში, როცა ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული სოციალური დაზღვევის ეფექტური სისტემა და დასაქმების სფეროშიც მძიმე კითარებაა.

დიაგრამა 1




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს თანამედროვე შრომის ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია **მოქმედების შეზღუდული არეალი**, რაც იმაში გამოიხატება, რომ შრომის ბაზარზე მცირეა საბაზო მექანიზმებით შრომითი ურთიერთობების რეგულირების სეგმენტი. კერძოდ, ეს არის სეგმენტი, სადაც დაქირავებული შრომა გამოიყენება. საქართველოში დაქირავებით მომუშავეთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში შემაშფოთებლად მცირეა და წლების განმავლობაში არ ფიქსირდება გაუმჯობესების ტენდენცია (იხ. დიაგრამა 2). ოფიციალური სტატისტიკით,

2009 წელს დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა 596 ათას კაცს ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 36%-ს შეადგენდა, ხოლო თვითდასაქმებულებისა – 1059 ათას კაცს ანუ დასაქმებულთა 64%-ს. ამასთან, დაქირავებით მომუშავეთა თითქმის 2/3 სახელმწიფო (ძირითადად საჯარო) სექტორზე მოდისა. ამ სექტორში კი შრომითი ურთიერთობები მკაცრად რეგლამენტირებულია და საბაზო ბერკეტები ნაკლებად გამოიყენება.

დიაგრამა 2




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დასაქმების სტატუსის დასაქმებულთა განაწილების ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა №3 ნათლად ასახავს საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ მძიმე ვითარებას და იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში სამეწარმეო სექტორი განუვითარებელია. ამასთან, მომუშავეთა გარკვეული კატეგორიების ხარჯზე ხელოვნურად არის გაზრდილი დასაქმებულთა რაოდენობა. კერძოდ, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მომუშავეთა საერთო რაოდენობის 29,2% საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ან ნათესავისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებზე მოდის. სპეციალისტთა შეფასებით, დამატებითი კრიტერიუმების (მაგალითად, ნამუშევარი დრო, დასაქმებიდან მიღებული სარგებელი და სხვ.) გარეშე, მათი მიკუთვნება დასაქმებულებისადმი საკამათოა. ოფიციალური სტატისტიკით, დასაქმებულთაგან ყოველი მე-4 სოფლად თვითდასაქმებულია, ხოლო ყოველი მე-10 – არასასოფლო თვითდასაქმებით (ძირითადად ვაჭრობით) ირჩენს თავს.

დამსაქმებლებზე მოდის დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1%, რაც საქართველოში მეწარმეთა ფენის განუვითარებლობაზე, ბიზნესის მცირე ზომასა და დაბალ რენტაბელურობაზე მიანიშნებს.

ღიაბრამა 3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შენიშვნა: სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2008 წლის შემდგომ პერიოდზე ასეთ მონაცემებს აღარ აქვექნებს.

დასაქმებულთა სტრუქტურის არარაციონალურობას ადასტურებს ეკონომიკური საქმიანობის სახეობების სახეობების მიხედვით დასაქმებულთა განაწილების პროპორციებიც, კერძოდ, ის ფაქტი, რომ საქართველოში მომუშავეთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია თავმოყრილი (იხ. ცხრილი 1.2). სოფლად დასაქმება თითქმის მთლიანად თვითდასაქმების სახით არის წარმოდგენილი და ხასიათდება არაფორმალური, არასრული და დაბალრენტაბელური საქმიანობით.

ცხრილი 12. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური სამიანობის სახეების მიხედვით 2004-2007 წლებში (პროცენტობით ჯამთან)

	2004	2005	2006	2007
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	54,0	54,3	55,3	53,4
თევზჭერა, მეთევზეობა	0,0	0,0	0,0	0,0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0,2	0,3	0,2	0,3
გადამამუშავებელი მრეწველობა	5,1	5,1	4,7	4,9
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და	1,2	1,3	1,1	1,1

განაწილება				
მშენებლობა	2,4	2,5	3,1	4,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	11,0	10,8	9,6	9,9
სასტუმროები და რესტორნები	1,1	0,9	1,0	1,1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	4,2	4,0	4,5	4,2
საფინანსო საქმიანობა	0,7	0,8	0,8	1,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწვევა	1,6	1,5	1,5	2,0
სახელმწიფო მმართველობა	4,9	4,7	4,5	3,8
განათლება	7,5	7,5	7,6	7,3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3,1	3,3	3,0	3,5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	2,4	2,2	2,4	2,6
კერძო საშინაო მუზეუმებისა და კიბირავებული მომსახურებით	0,5	0,5	0,7	0,7
ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა	0,2	0,2	0,1	0,2
სულ	100	100	100	100

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შენიშვნა: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2007 წლის შემდგომი პერიოდისათვის აღნიშნული მონაცემი აღარ ქვეყნდება.

სოფლად მცხოვრებთათვის საკუთარ მიწის ნაკვეთებზე საქმიანობა არსებითად თვითგადარჩენასა და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში 6-7%-ს შეადგენს.⁹ ამასთან, ისეთი პრობლემების გადაუჭრელობის გამო, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა და ხელმიუწვდომლობა, მინერალური სასუქებისა და შეამ-ქიმიკატების უხარისხობა და სიძვირე, სარწყავი სისტემის განუვითარებლობა, სათესლე მასალების დაბალი ხარისხი, აგროტექნიკის არცოდნა და ა.შ, წლიდან წლიდან კლებულობს

⁹ იხ. სტატისტიკური კრებული: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008. თბილისი, 2009, გვ. 20.

დამუშავებული მიწის ფართობები და მცირდება საშუალო მოსავლიანობა¹⁰, რაც ხეგატიურად აისახება სოფლად დასაქმებულთა შემოსავლების დონეზე. ბოლო წლებში ხელისუფლებამ გაზარდა ძალისხმევა სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, თუმცა აღნიშნული პრობლემები კვლავ აქტუალურია.

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის სახეობებიდან მეორე ადგილზეა ვაჭრობა, რომელიც ძირითადად ბაზრობებისა და მცირე სავაჭრო ობიექტების სახით არის წარმოდგენილი. ეკონომიკური საქმიანობის ეს სფეროც შრომის მძიმე პირობებით, დაბალი რენტაბელობითა და დასაქმებულთა მცირე შემოსავლებით ხასიათდება. მომუშავეთა დაბალი ხელფასებით გამოირჩევა ასევე ის სფეროებიც, რომლებსაც მომუშავეთა რაოდენობისა და წილის მიხედვით საქართველოში მე-3 და მე-4 პოზიციები უკავიათ. ესენია განათლება და ჯანდაცვა (იხ. ცხრილი 1.3). შრომის ანაზღაურების შედარებით მაღალი დონეა საფინანსო საქმიანობის, სახელმწიფო მართვის, ელექტროენერგიის, აირისა და წყალ-მომარაგების სფეროებში, სადაც მომუშავეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 6%-ია დასაქმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში დომინირებს ე.წ. „მეორადი შრომის ბაზარი“** ისეთი დამახასიათებელი ნიშნებით, როგორიცაა დაბალკვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები, შრომის მძიმე პირობები, სოციალური დაცვისა და გარანტიების დაბალი დონე, შრომის დაბალი ანაზღაურება, კარიერული წინსვლის შეზღუდული შესაძლებლობები და ა.შ. „პირველადი შრომის ბაზრის“ (მაღალკვალიფიციური კადრები, შრომის კარგი პირობები, მაღალი ხელფასი, სოციალური გარანტიები და დაცულობის მაღალი ხარისხი) არეალი კი შეზღუდულია და დიდ გავლენას ვერ ახდენს დასაქმების სფეროში არსებულ საერთო სიტუაციაზე.

ცხრილი 1.3. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მკონვიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ლარი

ეკონომიკური საქმიანობის სახე	2004	2005	2006	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	67,8	127,6	146,1	184,4	296,1	351,5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	179,5	210,8	352,3	657,7	808,9	694,8

¹⁰ იხ. სტატისტიკური კრებულები: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2007; საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008.

გადამამუშავებელი მრეწველობა	183,8	212,1	260,5	357,7	510,5	496,5
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	259,2	341,5	398,2	533,8	738,3	775,8
მშენებლობა	264,5	296,4	391,0	494,5	597,3	716,8
გაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	107,9	173,6	246,4	355,5	510,6	548,0
სასტუმროები და რესტორნები	70,3	108,2	196,5	238,4	333,6	365,8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	229,1	265,7	391,3	492,3	667,7	731,8
საფინანსო საქმიანობა	739,3	1049,2	779,0	1014,5	1343,5	1339,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	125,5	210,8	284,2	405,8	540,1	650,0
სახელმწიფო მმართველობა	193,2	342,4	448,0	585,4	869,5	889,8
განათლება	88,7	92,5	122,1	153,0	243,7	270,8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	80,3	99,5	143,3	206,4	305,8	358,4
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	123,5	113,4	175,6	260,6	408,7	401,1
სულ	156,8	204,2	277,9	368,1	534,9	572,5


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური კრებული: კვარტალური ბიულეტენი – II, 2010. გვ. 74-75.

აღნიშნული გარემოება და კიდევ ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობაში მაღალია უმაღლესი განათლების ცენტის მქონე პირების წილი (15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 22,4%-ს უმაღლესი განათლება გააჩნია), განაპირობებს შრომის ბაზრის კიდევ ერთ თავისებურებას, კერძოდ იმას, რომ უმუშევრებს შორის დიდია უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი. სტატისტიკური მონაცემებით, უმუშევართაგან თითქმის 40%-ს უმაღლესი განათლება აქვს¹¹. ეს აიხსნება როგორც სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დიდი დისხალანსით (უმაღლესი განათლების კადრების ჭარბწარმოებითა და სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულით), „პირველადი შრომის ბაზრის“ სეგმენტის შეზღუდულობით, ასევე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაოს მაძიებლების გაზრდილი მოთხოვნებით შრომის პირობებისადმი.

¹¹ სტატისტიკის დეპარტამენტი: სტატისტიკური კრებული „შრომის ბაზარი საქართველოში 2006“. თბილისი, 2007, გვ. 32.

რაც შეეხება უმუშევართა ასაკობრივ სტრუქტურას, მათ შორის ჭარბობენ 15-დან 30 წლამდე ასაკის პირები. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია 20-24 წლის ახალგაზრდებს შორის (იხ. დიაგრამა 4). ეს ნაწილობრივ აიხსნება ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმითა და შრომის პირობებისადმი გაზრდილი მოთხოვნებით, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სპეციალობით სამუშაოს პოვნის სირთულეა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ჭარბწარმოებას, შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურულ და ხარისხის დისბალანსს, შრომის მძიმე პირობებს. ასეთი დისბალანსი, რა თქმა უნდა, მაღალ ასაკობრივ ჯგუფებშიც გვხვდება, მაგრამ ოჯახზე ზრუნვის აუცილებლობიდან და სოციალური გაჭირვებიდან გამომდინარე, ასაკით უფროსები უფრო მეტ მობილურობას იჩენენ და, ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, მზად არიან იმუშაონ შედარებით დაბალკვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამუშაოებზეც, თუნდაც მიზერული ანაზღაურების ფასად.

დიაგრამა 4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სამუშაო ძალის დაბალი ფასი და შრომის მძიმე პირობები საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოსათვის უაღრესად აქტუალურია ე.წ. „დარიბი დასაქმებულების“ პრობლემა, რაც დაბალ ხელფასებსა და თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირეს უკავშირდება. სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 2006 წლის სექტემბერში ჩატარებული

სპეციალური კვლევის შედეგებით, საქართველოში დაქირავებით მომუშავეთა 1/3-ზე მეტს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი ჰქონდა¹². 2004-2009 წლებში დაქირავებით მომუშავეთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 156,8 ლარიდან 572,5 ლარამდე¹³ ანუ თითქმის 3,7-ჯერ გაიზარდა. მაგრამ საშუალო ხელფასის ასეთი ზრდის მიუხედავად, მომუშავეთა უმრავლესობისათვის შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმის არეალშია. ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოში ძალიან მაღალია ხელფასის დიფერენციაცია როგორც საქმიანობის სფეროების, ისე თანამდებობების მიხედვით. მაგალითად, 2009 წლის მდგომარეობით, საფინანსო სექტორში მომუშავეთა საშუალო ხელფასი თითქმის 5-ჯერ აღემატებოდა განათლების სფეროში დასაქმებულთა ხელფასს, 3,7-ჯერ – ჯანდაცვის სფეროში მომუშავეთა ხელფასს¹⁴. გარდა ამისა, ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად ამცირებს მომუშავეთა რეალურ ხელფასს, რაც დაბალ შემოსავლიანი კატეგორიებისათვის განსაკუთრებით მტკიცნეულია.

საქართველოში 2006 წელს მიღებული „შრომის კოდექსით“ მნიშვნელოვნად გამარტივდა სამუშაოდან გათავისუფლების პროცედურები და შემცირდა (ფაქტობრივად გაუქმდა) სახელმწოფო კონტროლი შრომის უსაფრთხო პირობებზე, სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, მომუშავეთა შრომითი უფლებების დაცვაზე. ასეთი პოლიტიკის მიზანი იყო ქვეყანაში უცხოელი ბიზნესმენებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, თუმცა რეალობაში ამ ნაბიჯმა განაპირობა ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ მომუშავეთა უფლებების მასობრივი შეღახვა, სახელფასო განაკვეთების შემცირება, სამუშაო დროის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი გაზრდა (6- და 7-დღიანი სამუშაო კვირა და 12-14-საათიანი სამუშაო დღე თითქმის ნორმადაა ქცეული), შრომის უსაფრთხოების ნორმების არარსებობა/დაუცველობა, ხელფასების გაუცემლობა ანდა დაგვიანებით გაცემა (კერძო სექტორში) და ა.შ. შრომითი ურთიერთობების ჭარბი ლიბერალიზაცია და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების არარსებობა (რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მომუშავეთა დისკრიმინაციისათვის) შეიძლება საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად გამოიყო.

¹² წყარო: სტატისტიკური კრებული: საქართველოს შრომის ბაზარი – 2006. გვ. 72.

¹³ წყარო: სტატისტიკური კრებული: კვარტალური ბიულეტენი – 2010, II კვარტალი. გვ. 74.

¹⁴ იქვე, გვ. 74-75.

შრომის ბაზრის **ინფრასტუქტურის განუვითარებლობის** ის ხარისხი, რაც საქართველოშია, შეიძლება მის ექსპლუზიურ თავისებურებად დასახელდეს. ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოებები: 2006 წლიდან საქართველოში არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზა, არ ხორციელდება დასაქმების ხელშეწყობის სპეციალური მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები¹⁵; არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის სისტემა; გაუქმდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური და შრომის სახელმწიფო ინსპექცია; განუვითარებელია პროფესიული სწავლებისა და ზრდასრულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სისტემა; შემდგომ განვითარებას საჭიროებს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემა; არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა მაღალი სოციალური რისკების მქონე ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმი და ა.შ. ასეთ პირობებში შეუძლებელია საუბარი სამუშაო ძალის მაღალ მობილურობასა და შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებაზე.

ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაციის, სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების სტიმულირების არარსებობის, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის შედეგად **საქართველოში უმუშევრობაზე „კანგრძლივი უმუშევრობის“ ფორმა შეიძინა:** უმუშევართა საერთო რაოდენობის თითქმის 2/3 ხანგრძლივად (1 წელზე მეტი პერიოდი) უმუშევარია. ხანგრძლივად უმუშევრების შრომის ბაზარზე დაბრუნება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა დამატებით ძალისხმევასა და ფინანსებს საჭიროებს სახელმწიფოსა და დამსაქმებლების მხრიდან. როგორც აღინიშნა, უმუშევართა გადამზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები გაუქმებულია, ხოლო დამსაქმებელთა წლიური დანახარჯები მომუშავეთა პროფესიულ სწავლებაზე, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, წელიწადში 4-5 ლარია.¹⁶

¹⁵ 2006-2007 წლებში განხორციელებულ „სამუშაო ადგილზე პროფესიული სწავლების“ სახელმწიფო პროგრამებს რეალურად არაფერი საერთო არ ჰქონდათ დასაქმების ხელშეწყობასთან. რა თქმა უნდა, ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორის (მაგალითად, ინფრასტრუქტურა, ტურიზმი) განვითარების მხარდაჭერა დადებითად აისახება მოსახლეობის დასაქმებაზეც, მაგრამ, როგორც ცნობილია, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად სპეციალური მასტიმულირებელი დონისძიებების შემუშავება/განხორციელებას გულისხმობს.

¹⁶ სტატისტიკური წლიწადებული 2007. თბილისი, 2008, გვ. 55.

შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება წარმოუდგენელია მისი ელასტიურობისა და ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების გარეშე. უნდა არსებობდეს ინფორმაცია ეკონომიკასა და დასაქმების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ და სახელმწიფოში უნდა იყოს სპეციალური ორგანო, რომელიც დაგეგმავდა და განახორციელებდა შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნებზე რეაგირების ღონისძიებებს. შამწუხაროდ, საქართველოში არ ხდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არათუ ხანგრძლივი, არამედ ერთწლიანი გეგმა-პროგნოზებს შემუშავებაც; ფაქტობრივად არ არსებობს შრომისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო დაწესებულება¹⁷, არ არის ჩამოყალიბებული შრომის ბაზრის კვლევის სახელმწიფო სისტემა. შესაბამისად, არ არსებობს წინაპირობები იმისათვის, რომ საქართველოს შრომის ბაზარი იყოს ელასტიური და მოქნილი.

შრომის ბაზრის დაბალელასტიურობას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოში შედარებით დაბალია სამუშაო ძალის პროფესიული მობილურობა. სახელმწიფოს შესაბამისი პოლიტიკის არარსებობის გარდა, ამას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ჩამოუყალიბებელ-განუვითარებელია ზრდასრულთა განათლების ქმედუნარიანი სისტემა. ცალკეული საერთაშორისო (USAID, UNDP, ETF და სხვ.) და არასამთავრობო ორგანიზაციების (ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, Dvv-international და სხვ.) დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. ამიტომ სამუშაო ძალის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გამართული და ხელმისაწვდომი სისტემის შესაქმნელად საჭიროა სახელმწიფოსა და დამსაქმებლების აქტიურობის გაზრდა. საქართველოში სამუშაო ძალის დაბალ მობილურობას ხელს უწყობს მენტალური პრობლემებიც, რომლებიც საზოგადოების ნაწილს გადმოჰყვა საბჭოთა ცხოვრების წესიდან (როცა ყველას ნაცვლად ფიქრობდა სახელმწიფო). გარდა ამისა, დაბალ მობილურობას განაპირობებს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, როცა ადამიანებმა არ იციან სად და ვის მიმართონ დახმარებისთვის, როგორ ეძებონ სამუშაო, როგორ

¹⁷ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებით არცერთი ფუნქცია არ აქვს გაწერილი შრომისა და დასაქმების სფეროში.

განივითარონ თვითპრეზენტაციის უნარი და ა.შ.¹⁸ ყოველივე ამის შედეგია ის, რომ საქართველოში ძალიან მაღალია კ. წ. „ხელჩაქნეული უმუშევრების“ წილი, ანუ იმ ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც სურთ მუშაობა, მაგრამ იმედგაცრუების გამო აქტიურად ადარ ეძებენ სამუშაოს.

საქართველოს შრომის ბაზრის ზემოაღნიშნული თავისებურებები განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსიც არსებობს. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს შრომის ბაზრის ეფექტურ მუშაობას და ნებატიურად აისახება ბიზნესის განვითარებაზე, რაც თავის მხრივ ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების აუცილებელი წინაპირობაა.

2. კვლევის ძირითადი შედეგები

2.1. სამეწარმეო აქტიურობა და მისი ცვლილების ტენდენციები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული სპეციალური კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოში სამეწარმეო აქტიურობის ხარისხის, ბოლო წლებში განვითარებული ტენდენციების, ბიზნესის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლა, ვინაიდან ბიზნესის განვითარება არსებითად განსაზღვრავს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას.

კვლევამ მოიცვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე 3484 სამეწარმეო სუბიექტი. ტერიტორიული ერთეულების მიხედვით¹⁹ მათი რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა:

- ქ. თბილისი – 706;
- აჭარის არ – 271;
- გურიის მხარე – 83;


¹⁸ აღსანიშნავია USAD-ის, IOM-ის, UNDP-ის, ETF-ისა და სხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის აქტიურობა ამ მიმართულებით, მაგრამ მათი საქმიანობის არეალი მაინც შეზღუდულია.

¹⁹ კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ცალკე გამოიყო რაჭა-ლეჩხემი და ზემო სვანეთი, რომლებიც ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპით შედიან იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეების შემადგენლობაში.

- კახეთის მხარე – 306;
- იმერეთის მხარე – 340;
- მცხეთა-მთიანეთის მხარე – 120;
- რაჭა-ლეჩეუმი და ქვემო სვანეთი – 72;
- სამეგრელო და ზემო სვანეთი – 261;
- სამცხე-ჯავახეთის მხარე – 281;
- ქვემო ქართლის მხარე – 113;
- შიდა ქართლის მხარე²⁰ – 931.

კვლევამ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტები მოიცვა. გამოკვლეული საწარმოების განაწილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების (იხ. დიაგრამა 5) მიხედვით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების განაწილების პროპორციებს²¹ არსებითად შეესაბამება, თუ გათვალისწინებო იმას, რომ გამოკითხვა არ შეეხოთ იმ მცირე საწარმოებს, სადაც დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა ორ კაცზე ნაკლები იყო.

დიაგრამა 5



²⁰ შიდა ქართლში გამოკვლეული ობიექტების შედარებით მეტი რაოდენობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ანალიზისას გამოყენებული იქნა 2010 წლის თებერვალში IOM-ის მიერ GTZ-ის დაკვეთით განხორციელებული კვლევის შედეგებიც.

²¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა 71,7% ინდივიდუალური საწარმო, 25,9% – შპს, 1,0% – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 0,8% – საქციო საზოგადოება, 0,5% – კოოპერატივი, 0,1% – კომანდიტური საზოგადოება. წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია: „მეწარმეობა საქართველოში – 2009“. გვ. 27.

კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იქნა ასევე მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობის სფეროები. კერძოდ, გამოკითხვამ მოიცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში მოღვაწე ბიზნეს-სუბიექტები. გამოკვლეულ საწარმოთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით (იხ. ცხრილი 2.1.1.) ასევე შეესაბამება საქართველოს ეროვნული მეურნეობის დარგობრივ სპეციფიკას (სამეწარმეო სუბიექტებისა და დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობის გათვალისწინებით).

ცხრილი 2.1.1 ბამოკვლეულ საწარმოთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის სფერო		საწარმოთა რაოდენობა	%
1	სოფლის მეურნეობა	124	4
2	სამთომომპოვებელი მრეწველობა	40	1
3	გადამამუშავებელი მრეწველობა	569	16
4	ელექტრო ენერგიის, აირისა და წყალმომარაგება	75	2
5	მშენებლობა	252	7
6	ვაჭრობა	824	24
7	ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი	61	2
8	სასტუმროები და რესტორნები	310	9
9	ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა	134	4
10	კავშირგაბმულობა	67	2
11	საფინანსო შუამავლობა და დაზღვევა	24	1
12	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	51	1
13	კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა	42	1
14	განათლება	172	5
15	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	407	12
16	კომუნალური მომსახურება	50	1
17	პერსონალური და სოციალური მომსახურება	211	6
18	საზოგადოებრივი გაერთიანებები, კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაცია	6	0
19	დასვენება, გართობა, კულტურა, სპორტი	65	2
	სულ	3484	100

გამოკვლეულ საწარმოთა შორის დომინირებენ სავაჭრო ობიექტები და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც საქართველოში ძირითადად წარმოდგენილი არიან კვების პროდუქტებისა და სასმელების მწარმოებელი მცირე საწარმოების სახით. გადამამუშავებელი მრეწველობის

საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი აწარმოებს სამშენებლო მასალებს, ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობებს, ასევე პოლიგრაფიულ ნაწარმს (იხ. ცხრილი 2.12.). სამრეწველო ნაწარმის სხვა სახეობებიდან საქართველოში იწარმოება რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი, ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი, მინის ნაწარმი, ლითონის მზა ნაწარმი, მანქანები და მოწყობილობები, ტყავი და ტყავის ნაწარმი და სხვ.

ცხრილი 2.12. ბაზოკვლეულ საჭარმოთა განაწილება ძირითადი პროდუქციის მიხედვით


	ძირითადი პროდუქცია	საწარმოთა რაოდენობა	%
1	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	111	3
2	სატყეო მეურნეობა და ხე-ტყის დამზადება	18	1
3	სამთომომპოვებითი მრეწველობისა და კარიერის დამუშავების პროდუქცია	50	1
4	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	296	8
5	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	19	1
6	ტყავი და ნაწარმი ტყავისგან	7	0
7	პოლიგრაფიული მომსახურება, ქაღალდის წარმოება	47	1
8	რეზინისა და პლასტმასისი ნაწარმი, მინის ნაწარმი	26	1
9	ლითონის მზა ნაწარმი	27	1
10	მანქანები და მოწყობილობები	10	0
11	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	2	0
12	სატრანსპორტო საშუალებების დამზადება	4	0
13	ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობების დამზადება	74	2
14	ელექტროენერგია, აირი, წყალი (განაწილება, მომსახურება)	75	2
15	სამშენებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების წარმოება	287	8
16	სასტუმრო (მომსახურება)	95	3
17	რესტორანი, კაფე, ბარი, სასადილო	221	6
18	ტრანსპორტირება	134	4
19	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება	24	1
20	მომსახურება და კავშირებული უძრავ ქონების გაყიდვასთან, იჯარასა და გაქირავებასთან	49	1
21	კომპიუტერული მომსახურება	45	1
22	მომსახურება კვლევებისა და დამუშავების სფეროში	26	1
23	მომსახურება განათლების სფეროში	165	5
24	მომსახურება ჯანდაცვის სფეროში	415	12
25	კომუნალური მომსახურება	50	1
26	სოციალური და პერსონალური მომსახურება	1142	33
27	მომსახურება დასტენების, კულტურული და სპორტული რონისძიებების ორგანიზებით	84	2
	სულ	3503*	100

შენიშვნა: პასუხების რაოდენობა აღემატება გამოკითხული საწარმოების რაოდენობას, კინაიდან ზოგიერთი საწარმო აწარმოებს ორი და მეტი სახის ძირითად პროდუქციას.

მეწარმე სუბიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოღვაწეობს სამშენებლო, სარესტორნო და სატრანსპორტო ბიზნესში. საკმაოდ დიდია ჯანდაცვისა და განათლების სფეროში, ასევე სოციალური და პერსონალური მომსახურების, სასტუმროების, დასვენებისა და გართობის ბიზნესით დაკავებული მეწარმეების რაოდენობაც.

საქართველოში ბიზნესი ძირითადად მიკრო და მცირე ზომისაა. ეს აისახა მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით გამოკვლეული საწარმოების განაწილებაშიც (იხ. დიაგრამა 6). გამოკვლეულ საწარმოთა 65% მიკრო (5 კაცზე ნაკლები მომუშავით) და მცირე ზომისაა (5-დან 20 კაცამდე მომუშავით); 27% – საშუალო ზომისაა (20-დან 100 კაცამდე მომუშავით) და მსოლოდ 8%-ია მსხვილი საწარმო (100 კაცზე მეტი მომუშავით). გამოკვლეულ საწარმოთა განაწილება მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით ასევე შეესაბამება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოში მოქმედი საწარმოების ზომის (სიდიდის) შესახებ²²

დიაგრამა 6



კვლევის შედეგებით, საქართველოს სამეწარმეო სექტორი თითქმის მთლიანად ადგილობრივ და ქვეყნის შიდა ბაზარზეა ორიენტირებული: მეწარმეთა 84% ადგილობრივ ბაზარზე ყიდის თავის

²² იხ. სტატისტიკური პუბლიკაცია: მეწარმეობა საქართველოში – 2009. გვ. 32.

პროდუქციას/მომსახურებას (აქედან 77% – მთლიანად); 21% – რეგიონის გარეთ ანუ საქართველოს სხვა ბაზრებზე (აქედან 10% – მთლიანად) და მხოლოდ 4% მუშაობს ექპორტზე (2%-ს საზღვარგარეთ გააქვს წარმოებული პროდუქციის 1/3-ზე ნაკლები, 1%-ს – 2/3-ზე მეტი, 1%-ს – მთელი წარმოებული პროდუქცია). ექსპორტის ძირითადი ქვეყნებია: ევროპის ქვეყნები (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია და სხვ.), აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, უკრაინა, აშშ, რუსეთი, ყაზახეთი, ჩინეთი, ბელარუსი, უზბეკეთი, კანადა, ისრაელი და სხვ. ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა²³: სასმელები და კვების პროდუქტები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, სატრანსპორტო საშუალებები (რეექსპორტი), ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი, ავაჯი და ხის სხვა ნაკეთობები. მომსახურების სახეობებიდან, რომელსაც საქართველოს მეწარმე სუბიექტები სთავაზობენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, ძირითადია სატრანსპორტო, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროში შეთავაზებული მომსახურება.

ბიზნესის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალებისა და პროდუქციის შეძენა/შემოტანას აღგილობრივი ბაზრებიდან ახდენს გამოკითხულ მეწარმეთა 61% (აქედან 46% – მთლიანად); 44% – რეგიონის გარედან ანუ საქართველოს სხვა ბაზრებიდან (აქედან 29% – მთლიანად), 14%-ს საჭირო ნედლეული და პროდუქცია შემოაქვს საზღვარგარეთიდან (4%-ს - საჭირო ნედლეულისა და პროდუქციის 1/3-ზე ნაკლები, 2%-ს – 1/3-დან 2/3-მდე, 3%-ს – 2/3-ზე მეტი, 6%-ს – მთლიანად). იმპორტის ქვეყნების ჩამონათვალი თითქმის 2-ჯერ აღემატება ექსპორტის ქვეყნების ჩამონათვალს. იმ ქვეყნების პირველი ოცეული, საიდანაც საქართველოს მეწარმეების უმეტესობას შემოაქვს ნედლეული და პროდუქცია, შემდეგია: აზერბაიჯანი, თურქეთი, შვედეთი, ბელარუსი, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, პოლანდია, აშშ, ბულგარეთი, ბელგია, იაპონია, ბრაზილია, ჩინეთი, პოლონეთი, ისრაელი. იმპორტირებული პროდუქციის

²³ რანჟირებულია ექსპორტიორ საწარმოთა რაოდენობის მიხედვით (ანუ იმისდა მიხედვით, თუ რამდენ საწარმოს გააქვს ესა თუ ის პროდუქცია საზღვარგარეთ). რა თქმა უნდა, ექსპორტირებული პროდუქცია დირებულების მიხედვით განსხვავებულია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2010 წლის II კვარტლის მდგომარეობით, დირებულებითი მაჩვენებლით უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციაა: ფეროშენადნობები, ოქრო და უმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, მსუბუქი ავტომობილები (რეექსპორტი), თხილი და კაკალი, შავი და ფერადი ლითონის ჯართი, სპილენძის მაღნები და კონცენტრატები, აზოტოფანი სასუქები, სპირტი და სპირტიანი სასმელები და სხვ. წყარო: საქსტატი, კვარტალური ბიულეტენი, 2010, II კვარტალი. გვ. 35-36.

ძირითადი სასაქონლო ჯგუფებია²⁴: კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი, სამშენებლო მასალები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობები და დანადგარები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ელექტროენერგია და აირი (მომარაგება, განაწილება), ლითონის ნაწარმი, პოლიგრაფიული და ქაღალდის სხვა ნაწარმი, ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი და სხვ. საექსპორტო და იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფების ურთიერთშედარება თვალნათლივ ადასტურებს საქართველოს ეკონომიკის სუსტ განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის აუცილებლობას.

მართალია, უკანასკნელ წლებში საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ექსპორტის სტიმულირებისათვის, მაგრამ ექსპორტის გასაზრდელად აუცილებელია საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება. მის მისაღწევად კი საჭიროა მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანა/დანერგვა, მაღალკვალიფიციური კადრებით ბიზნესის უზრუნველყოფა, უცხოელ პარტნიორებთან სამეურნეო კაგშირების დასამყარებლად ინფორმაციული და ინსტიტუციონალური სისტემის განვითარება და ა.შ. უკელაზე მეტად კი საჭიროა ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერა და სტიმულირება.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ბოლო ერთი წლის (2009 წლის ივნისიდან 2010 წლის ივნისამდე) განმავლობაში საქართველოს სამეწარმეო სფეროში მომხდარი ცვლილებები და ტენდენციები. გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პერიოდში გამოკვლეულ საწარმოთა 23%-მა გაზარდა ბიზნესი, 20%-მა გააუმჯობესა მენეჯმენტი, 19%-მა გაზარდა მომუშავეთა რაოდენობა, 13%-მა დანერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, 7%-მა გააუმჯობესა კადრების სტრუქტურა; გამოკითხული მეწარმეების 34%-სათვის სიტუაცია არ შეცვლილა; 19%-მა აღნიშნა, რომ ბოლო ერთი წლის

²⁴ რანჟირებულია იმპორტიორ საწარმოთა რაოდენობის მიხედვით (ანუ რამდენ საწარმოს შემოაქვს ესა თუ ის პროდუქცია საზღვარგარეთიდან). რა თქმა უნდა, იმპორტირებული პროდუქცია დირებულების მიხედვით განსხვავებულია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2010 წლის II კვარტლის მდგომარეობით დირებულებითი მაჩვენებლით იმპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი, სიგარები, სატელეკომუნიკაციები და მოწყობილობები, სხვადასხვა სახის მოწყობილობები და დანადგარები. წყარო: საქსტატი, კვარტალური ბიულეტენი, 2010, II კვარტალი, გვ. 37-38.

განმავლობაში მისი ბიზნესი შეიკვეცა, ხოლო 9% იძულებული იყო შეემცირებინა მომუშავეთა რაოდენობა. გამოკვლეულ საწარმოთა 1%-მა აღნიშნა, რომ მათი ბიზნესი დახურვის პირასაა (იხ. დიაგრამა 7). კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში მოქმედი საწარმოების დაახლოებით $1/3$ დინამიურად ვითარდება, $1/3$ – სტაგნაციის მდგომარეობაშია და $1/3$ -სათვის მდგომარეობა გაუარებდა.

დიაგრამა 7



რა თქმა უნდა, ბიზნესის დინამიკა ქვეყნის რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. კერძოდ, იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გააფართოვეს ბიზნესი, მეტია სამეგრელოს, ქვემო ქართლის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. საწარმოების წილი, რომლებმაც გაზარდეს თანამშრომელთა რაოდენობა, მეტია აჭარაში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და ქ. თბილისში. მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე უფრო ხშირად იზრუნეს ქვემო ქართლში, აჭარასა და ქ. თბილისში მდებარე საწარმოებმა, ახალი ტექნიკის/ტექნოლოგიის დანერგვაზე კი - იმერეთში, ქ. თბილისსა და აჭარის ტერიტორიაზე მოქმედმა საწარმოებმა. იმ საწარმოების წილი, რომლებმაც დააფიქსირეს ბიზნესის შეკვეცა და მომუშავეთა რაოდენობის შემცირება, მეტია შიდა ქართლში, გურიაში, ქ. თბილისში და სამცხე-ჯავახეთში. საწარმოების წილი, რომელთა საქმიანობაშიც

სტაგნაციაა, ყველა რეგიონშია დიდი, მაგრამ გამორჩეულად მაღალია რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და შიდა ქართლში (იხ. ცხრილი 2.1.3).

ცხრილი 2.1.3. ცვლილებები პიზენეში პოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით (გამოკითხვის შედეგებით, %)

რა შეიცვალა	ქ. თბილისი	აჭარა	გურია	სამცხე-ჯავახეთი	აფხაზეთი და ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთი	იმერეთი	შიდა ქართ	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	გახეთი
გაიზარდა ბიზნესი	23	31	10	32	13	24	16	30	32	21	21	
გაიზარდა თანამშრომლეთა რიცხვი	25	28	17	26	19	26	10	17	27	15	14	
გაუმჯობესდა მენეჯმენტი	28	30	6	24	26	27	10	10	47	17	16	
შეიცვალა კადრების სტრუქტურა	10	10	2	7	1	11	4	5	12	3	3	
დანერგეს ახალი ტექნიკა / ტექნოლოგია	19	18	10	13	4	22	8	8	13	8	10	
არაფერი არ შეცვლილა	24	34	47	28	54	27	43	38	18	46	35	
შეიკვეთა ბიზნესი	16	8	19	13	3	14	30	21	9	13	19	
თანამშრომლების რაოდენობა შეცმირდა	13	6	12	12	6	11	8	5	5	10	9	
დახურვის პირასაა	1	—	—	—	—	1	1	1	—	—	2	

შენიშვნა: კითხვაზე ასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე ასუხის გაცემა.

რაც შეეხება საქმიანობის სფეროების მიხედვით ბიზნესის ცვლილების ტენდენციებს, კვლევის შედეგებით, იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გააფართოვეს ბიზნესი და გაზარდეს მომუშავეთა რაოდენობა მეტია ვაჭრობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების, აგრეთვე ჯანდაცვის სფეროებში, თუმცა ამავე სფეროებში დიდია იმ საწარმოთა რაოდენობაც, რომლებიც იძულებული იყვნენ შეეპვეცათ ბიზნესი და შეემცირებინათ მომუშავეთა რაოდენობა. სტაგნაციის მდგომარეობა უფრო ხშირად დაასახელეს ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების რემონტის, კომუნალური მომსახურების, სამთომომპოვებელი მრეწველობის, ტრანსპორტის ბიზნესით დაკავებულმა მეწარმეებმა. ახალი

ტექნიკა/ტექნოლოგიები უფრო ხშირად დაინერგა კავშირგაბმულობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, ელექტრო ენერგიის, აირისა და წყალ-მომარაგების, ჯანდაცვის, განათლების სფეროებში.

გამოკითხვის შედეგებით, **ფაქტორები, რომლებმაც მეწარმეებს ხელი შეუწყო ბიზნესის შენარჩუნებასა და/ან გაფართოებაში,** საკმაოდ მოცულობითია (იხ. ცხრილი 2.1.4). მათგან ძირითადია:

- მოთხოვნა პროდუქციასა და მომსახურებაზე;
- პროდუქციის/მომსახურების მაღალი ხარისხი;
- მაღალკვალიფიციური კადრები;
- ეფექტური მენეჯმენტი.

აღნიშნული ფაქტორები ბიზნესის განვითარების უმთავრესი ენდოგენური ფაქტორებია. ხელშემწყობ ფაქტორთა შორის საკმაოდ ხშირად სახელდებოდა ბიზნეს-გარემოს განმსაზღვრელი ეგზოგენური ფაქტორებიც: სახელმწიფოს დახმარება/მხარდაჭერა (სახელმწიფო პროგრამები, ტენდერები და სხვ), ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.

ცხრილი 2.1.4. ბიზნესის განვითარების ხელშემჭყობი ზარალები

	ფაქტორები	საწარმოთა რაოდენობა	%
1	მოთხოვნა	836	24
2	პროდუქციის/მომსახურების ხარისხი	668	19
3	მაღალი კვალიფიკაციის კადრები	435	12
4	სწორი მენეჯმენტი/მარკეტინგი/რეკლამა	314	9
5	სახელმწიფოს დახმარება/მხარდაჭერა	276	8
6	პოლიტიკური სტაბილურობა	269	8
7	ხელმისაწვდომი/დაბალი ფასები	230	7
8	ადგილმდებარეობა	176	5
9	ახალი ტექნიკა/ტექნოლოგიების დანერგვა	175	5
10	ფინანსური უზრუნველყოფა/რესურსების ხელმისაწვდომობა	123	4
11	საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება	122	4
12	ენთუზიაზმი, თავდაუზოგავი შრომა	119	3
13	გამოცდილება	79	2
14	იმიჯი; მომხმარებლის ნდობა	78	2
15	ინფრასტრუქტურა	66	2

16	ადგილობრივი ნედლეულის ხელმისაწვდომობა/სიიაფე	61	2
17	პროდუქციის/მომსახურების ფართო ასორტიმენტი	53	2
18	უცხოელი პარტნიორის/დონორის/ინვესტორის მხარდაჭერა	52	1
19	კონკურენტების არარსებობა; დაბალი კონკურენცია	51	1
20	ქვეყანაში ეკონომიკური (საინვესტიციო) გარემოს გაუმჯობესება	41	1
21	ბიზნეს პარტნიორები	32	1
22	იაფი მუშახელი	23	1
23	პირადი კონტაქტები	20	1
24	უწყვეტი ელექტრო-გაზ მომარაგება	19	1
25	ხარისხიანი ნედლეული, მასალები	16	0
26	გუნდური მუშაობა	11	0
27	კონსიგნაციები	8	0
28	კორუფციის არ არსებობა	5	0
	სულ	4358	125

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იქნა ერთდღოულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

ბიზნესის ხელშემწყობ ფაქტორებში არსებითად აისახა ის ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში უკანასკნელ წლებში განხორციელდა ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა, კვლევის შედეგებმა აჩვენა ისიც, რომ ბიზნესის განვითარების სფეროში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. ეს პრობლემები აისახა ბიზნესის ხელშემშლელ ფაქტორებში, რომელთა ნუსხა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია (იხ. ცხრილი 2.1.5).

ცხრილი 2.1.5. ბიზნესის შენარჩუნება/განვითარების ხელშემშლელი ზარიღობები

	ხელშემშლელი ფაქტორები	საწარმოთა რაოდენობა	%
1	მაღალი კონკურენცია	671	19
2	არასტაბილური პოლიტიკური გარემო	661	19
3	ფინანსების ნაკლებობა/ხელმიუწვდომლობა	651	19
4	ეკონომიკური კრიზისი; ფასების ზრდა;	366	11
5	მაღალი გადასახადები, რომელი საგადასახასადო პროცედურები	329	9
6	რთულია/ძვირია ტრანსპორტირება	219	6
7	მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითურიანობა	214	6
8	მოველებული დანადგარები; ახალი ტქნიკა/ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობა	209	6
9	სეზონურობა; რთული კლიმატური პირობები	207	6

11	შესაბამისი ფართის არარსებობა	178	5
12	არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა; ხელისუფლების ჩარევა/ზეწოლა	161	5
13	არაჯანსაღი კონკურენცია; მონოპოლისტები	139	4
14	მომუშავეთა დაბალი პროფესიონალიზმი	112	3
15	ნედლეულზე, მასალებზე, ელ. ენერგიაზე, წყალზე მაღალი ფასები	104	3
16	ნედლეულის, მასალების უქონლობა/დეფიციტი	79	2
17	მოსახლეობის არაინფორმირებულობა	45	1
18	გასაღების ბაზრის შეზღუდულობა	44	1
19	პროდუქტის დაბალი ხარისხი	44	1
20	განუვითარებელი ინფრასტრუქტურა	25	1
21	წყალტაღობა ელ. ენერგიის, წყლის მოწოდებაში	25	1
22	ინფლაცია; ვალუტის კურსის მერყეობა;	23	1
23	არაეფექტური მენეჯმენტი; რეკლამის უქონლობა	16	0
24	მოსახლეობის მიგრაცია რაიონიდან	10	0
28	კორუფცია	4	0
29	არასაიმედო პარტნიორები	2	0
	სულ	4542	129

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ბიზნესის განვითარების ხელშემლელ ფაქტორებს შორის დომინირებს როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორები (მაღალი კონკურენცია, ეკონომიკური კრიზისი, გასაღების ბაზრის შეზღუდულობა და ა.შ.), ისე საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული და სხვ. ხასიათის პრობლემები. კერძოდ, ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური გარემო ბიზნესის განვითარების ხელშემლელ ფაქტორებს შორის მე-2 პოზიციაზე დასახელდა. ხელშემლელ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანებია ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობა, რაც თავის მხრივ უკავშირდება საქართველოში საკრედიტო ბაზრის განუვითარებლობასა და საბანკო კრედიტის აღების სირთულეს. კერძოდ, მეწარმეები აღნიშნავენ, რომ მათთვის რთულია კრედიტის აღება შემდეგ გარემოებათა გამო: მაღალია სარგებლის % კრედიტზე; რთულია კრედიტის აღების პროცედურები; დიდია ბანკის მიერ მოთხოვნილი საგარანტიო თანხის ოდენობა; ბანკის მხრიდან ხშირად

ირდვევა ხელშეკრულების პირობები; ბანკი არ ითვალისწინებს წარმოების სეზონურ ხასიათს; მოუქნელი და საკმაოდ მკაცრია კრედიტის აღებისა და დაბრუნების პირობები და ა.შ.

ბიზნესის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორთა მეორე სპუციფიკური ჯგუფი უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას. კერძოდ, მეწარმეები უჩივიან მოუწესრიგებელ საკანონმდებლო სისტემას, საგადასახადო პოლიტიკის არასრულყოფილებას, გადასახადების მაღალ განაკვეთებსა და როგორ პროცედურებს, საგადასახადო სამსახურების თავნებობას, ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევასა (კონკურენტთა ლობირებას) და არაკანონიერ ზეწოლას ბიზნესზე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არარსებობას და ა.შ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2007-2009 წლებში ჩატარებული კვლევებისაგან განსხვავებით, 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის შედეგებში ბიზნესის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს შორის დასახელდა წყვეტადობა ელექტროენერგიისა და წყალ-მიმართაგებაში. ეს ფაქტორი დააფიქსირეს შიდა ქართლის, იმერეთის, აჭარის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში მდგრად საწარმოების ხელმძღვანელებმა.

რეგიონიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, როგორც ბიზნესის ხელშემშლელი ფაქტორი, დასახელდა მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის მეწარმეების მიერ.

სასიამოვნო ფაქტია, რომ კვლევის შედეგებით, ბიზნესის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს შორის კორუფციას ბოლო აღვილი უკავია. ეს არის იმ ანტიკორუფციული პოლიტიკის ანარეკლი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება უკანასკნელი წლების განმავლობაში ატარებს.


ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს არსებული ბიზნეს-გარემო და ის გამოწვევები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია. არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის შემდგომ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებასა და ქვეყნის შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას.

2.2. ადამიანური რესურსები და მოთხოვნა სამუშაო ძალაზე

ადამიანურ რესურსებს გადამწყვეტი როლი აკისრია ნებისმიერი საქმიანობის წარმატება-წარუმატებლობაში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც აჩვენებენ, რომ მომუშავეთა პროფესიონალიზმი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობას. კერძოდ, რესპონდენტების მიერ ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ 28 ფაქტორს შორის მე-3 პოზიციაზე მომუშავეთა პროფესიონალიზმი დასახელდა (იხ. ცხრილი 2.1.4), ხელშემშლელ ფაქტორებს შორის კი მან 29 ფაქტორს შორის მე-14 პოზიცია დაიკავა (იხ. ცხრილი 2.1.5).

კვლევის შედეგებით, მეწარმეთა 34%-ს გარკვეული პრობლემები აქვთ საჭირო კადრების მოძიება-მოზიდვის სფეროში (იხ. დიაგრამა 8). ამასთან, საწარმოთა სიდიდის (მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით) ზრდის პარალელურად იზრდება იმ საწარმოთა წილი, რომლებსაც პრობლემები აქვთ გარკვეული პროფესიის კადრების მოზიდვისას. მაგალითად, საჭირო პროფესიის კადრების მოზიდვის პრობლემა სისტემატურად აწუხებს მცირე (5 კაცზე ნაკლები მომუშავით) ზომის საწარმოთა მხოლოდ 7%-ს, ეს მაჩვენებელი საშუალო სიდიდის საწარმოებისათვის (20-დან 100 კაცამდე) 12%-ია, მსხვილი საწარმოებისათვის (100 კაცზე მეტი მომუშავით) კი 18%; აღნიშნული პრობლემა იშვიათად აქვს მცირე ზომის საწარმოების 12%-ს, საშუალო საწარმოების 35%-ს და მსხვილი საწარმოების 40%-ს.


დიაგრამა 8



მომუშავეთა კატეგორიები, რომელთა მოძიებაც დამსაქმებლებისათვის რთულია, უმეტესად კვალიფიციური მუშებია: დამსაქმებლებისათვის პრობლემატური კადრების 2/3 კვალიფიციური მუშებია. ეს გასაგებიცაა, რადგანაც საქართველოში 1990-იან წლებში მთლიანად მოიშალა პროფესიული სწავლების სისტემა და კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადება თითქმის 20 წლის განმავლობაში აღარ ხდებოდა. ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების (რეაბილიტირებული იქნა 10 პროფესიული სასწავლებელი; მიღებული იქნა კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“; შემუშავებულია „პროფესიული განათლების განვითარების 2009-2013 წლების სტრატეგია“; მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული სტანდარტების შემუშავებისა და პროფესიული სწავლების პროგრამების სრულყოფის მიმართულებით და ა.შ.), ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის, კერძო სექტორის გააქტიურების შედეგად სახელობო პროფესიული განათლების განვითარების პროცესში პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთა, თუმცა შრომის ბაზარზე ორიენტაციის გაზრდისა და მომზადების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. იგივე ითქმის უმაღლესი პროფესიული და უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე კადრებზეც. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული დამსაქმებლების საერთო რაოდენობის 17%-ს უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალი კადრების მოძიება უჭირს.

მომუშავეთა კატეგორიები, რომელთა მოძიებაც დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია, შემდეგნაირად ნაწილდება: მოსაძიებლად რთული კადრების საერთო რაოდენობის 54% კვალიფიციურ მუშებზე მოდის, 31% – უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე, ხოლო არაკვალიფიციურ კადრებზე – 2%. დამსაქმებელთა 13%-სათვის პრობლემატურია როგორც მუშათა კადრების, ისე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მოზიდვა (იხ. დიაგრამა 9).


დიაგრამა 9



კვლევამ აჩვენა, რომ იმ პროფესიათა სპექტრი, რომელთა კადრების მოძიებაც დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია, უაღრესად ფართოა (საქართველოს რეგიონების მიხედვით დეფიციტური პროფესიების ნუსხა იხ. №1 დანართში).

მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებისათვის რთულია საჭირო პროფესიებისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება, ობიექტური და სუბიექტური ხასიათისაა. ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება ის გარემოება, რომ სხვადასხვა პროფესიაში მომზადება რეგიონსა და ქვეყანაში არ ხდება; სუბიექტურ მიზეზებს კი მიეკუთვნება გარემოებები, როცა პიროვნებებს არ სურთ კონკრეტულ რეგიონში ანდა შემოთავაზებულ ხელფასზე მუშაობა. პირითადი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია საჭირო კადრების მოძიება, არის ის, რომ მათ ვერ მოუძებნიათ სასურველი კვალიფიკაციის კადრი (იხ. დიაგრამა 10). ეს მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ობიექტური (პროფესიული მომზადების დაბალი დონე), ისე სუბიექტური ხასიათის (დამსაქმებელთა გაზრდილი მოთხოვნები კანდიდატურების მიმართ).

დიაგრამა 10



პროფესიები, რომელთა წარმომადგენლების დამსაქმებლებს არ აქმაყოფილებთ და ეს ხდება მათი მოუმიებლობის მიზეზი, საკმაოდ ფართოა. აღნიშნული მიზეზის დასახელების სიხშირით, რეგიონების მიხედვით გამოირჩევა შემდეგი პროფესიები:

ქ. თბილისში: გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, პროექტის მენეჯერი, პრომოციერი, ITC სპეციალისტი (პროგრამისტი, ქსელების სპეციალისტი), პარიკმახერი (სტილისტი), მზარეული, კონდიტერი, ბუღალტერი, ფარმაცევტი, პედაგოგი, ექთანი, იურისტი, უცხო ენის სპეციალისტი, ელექტრო-შემდუღებელი, კვების ტექნოლოგი, პოლიგრაფისტი, კოსმეტოლოგი და სხვ.

აჭარის არ-ში: პედაგოგი, ელექტროიკოსი, უცხო ენის სპეციალისტი, მიმტანი, ელექტრო-შემდუღებელი, ბუღალტერი, გაყიდვების აგენტი, ინჟინერ-მშენებელი, ITC სპეციალისტი და სხვ.

იმერეთის მხარეში: მზარეული, მცხობელი, ITC სპეციალისტი, ელექტრიკოსი, ბუღალტერი, მიმტანი, ბარმენი, ექიმი და სხვ.

განეთის მხარეში: ფარმაცევტი, ფარმაკოლოგი, ბუღალტერი, მზარეული, მცხობელი, ავტოშემკეთებელი და სხვ.

გურეთა-მთიანეთის მხარეში: ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, მცხობელი და სხვ.

რაჭა-ლეიხეუმ-ქვემო სვანეთში: სამშენებლო ტექნიკის მექანიზატორი (მემანქანე), ელექტრიკოსი, ექიმი და სხვ.

სამეცნიერო - ზემო სვანეთის მხარეში: უცხო ენის სპეციალისტი, ბუღალტერი, ITC სპეციალისტი, მიმტანი, მზარეული, ბარმენი, ელექტრიკოსი, ელ. შემდუღებელი, სანტექნიკოსი, პარიქმახერი, გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში: ვეტენიმი, ვეტერინარი, მზარეული, მიმტანი, კვების ტექნოლოგი, ITC სპეციალისტი, ექიმი, ჯანდაცვის ლაბორანტი, უცხო ენის სპეციალისტი, სასტუმროს მენეჯერი/ადმინისტრატორი, ბუღალტერი, მცხობელი, ავტოშემკეთებელი, მასაუისტი და სხვ.

ქვემო ქართლის მხარეში: ექიმი, მიმტანი, ITC სპეციალისტი და სხვ.

შიდა ქართლის მხარეში: დურგალი, მენეჯერი, მცხობელი, მიმტანი, კვების ტექნოლოგი, ITC სპეციალისტი, ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, კალატოზი, მლესავი, ექიმი და სხვ.

აღნიშნულ პროფესიების კადრების დიდი ნაწილი რეგიონებში არ მზადდება და ეს განაპირობებს ადგილზე მათი მოძიების სირთულეს. მართალია, გარკვეული პროფესიების მქონე კადრები რაიონებში ნამდვილად არსებობს და არც მათი კვალიფიკაცია იწვევს დამსაქმებელთა უნდობლობას, მაგრამ მათი მოზიდვა მაინც პრობლემატურია, რადგან ამ კადრებს **არ სურთ რაიონებსა და სოფლებში მუშაობა.** ეს განსაკუთრებით ითქმის ექიმებზე, პედაგოგებზე, მიმტანებზე, ITC სპეციალისტებზე, უცხო ენის სპეციალისტებზე.


ზოგიერთი პროფესიის მქონე კადრების მოძიება დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია იმის გამო, რომ **ეს კადრები არ არიან თანახმა იმუშაონ შეთავაზებულ ხელფასზე.** გამოკითხვისას დამსაქმებლებმა დაასახელეს ასეთი პროფესიების საკმაოდ ფართო ჩამონათვალი. ესენია: გამყიდველი, დამლაგებელი, ITC სპეციალისტი, ბუღალტერი, მცხობელი, მიმტანი, მზარეული, ფარმაცევტი, ექიმი, ელექტროშემდუღებელი, ელექტრიკოსი, დურგალი, გაყიდვების აგენტი, გაყიდვების მენეჯერი, სანტექნიკოსი და სხვ. გამომდინარე იქიდან, რომ საჭირო კადრების მოუძიებლობის მიზეზად თვითონ დამსაქმებლები ასახელებენ შეთავაზებული ხელფასის სიმცირეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს განპირობებულია ან

მოცემული ბიზნესის დაბალრენტაბელურობით (მცირე ფინანსური რესურსებით), ანდა არასათანადო მენეჯმენტით.

გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ დამსაქმებელთა ნაწილმა არ იცის სად მოიძიოს საჭირო კადრი და ვის მიმართოს დახმარებისთვის (იხ. დიაგრამა 10). ეს უკავშირდება ქვეყანაში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობას და კერძოდ იმ ფაქტს, რომ საქართველოში არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური, კერძო სააგენტოების ქსელი კი განუვითარებელია (განსაკუთრებით რეგიონებში).


საქართველოში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა ზეგავლენას ახდენს საჭირო კადრების მოძიების გზებსა და მეთოდებზეც. მოცემულმა კვლევამ კიდვე ერთხელ დაადასტურა IOM-ის მიერ წინა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები²⁵ იმასთან მიმართებაში, რომ საქართველოში კადრების მოძიების ყველაზე ფართოდ გავრცელებული გზაა პირადი კონტაქტები და ნაცნობთა რეკომენდაციები. ამ კვლევის შედეგებითაც, მეწარმეთა 65% სწორედ პირად კონტაქტებსა და ნაცნობთა რეკომენდაციებს იყენებს სასურველი კანდიდატურების მოსაძიებლად. საკუთარ მომუშავეთა რეკომენდაციებს ეყრდნობა მეწარმეთა 29%; მასმედიაში სარეკლამო განცხადებებს იყენებს მეწარმეთა 12%, ინტერნეტს – 7%, კერძო სააგენტოების მომსახურებით სარგებლობს 3% (იხ. დიაგრამა 11). ეს მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. მაგალითად, ქ. თბილისში ინტერნეტის მეშვეობით საჭირო კანდიდატურებს მოიძიებს დამსაქმებელთა 26%, რეკლამის მეშვეობით – 16%, მაშინ, როცა ეს მაჩვენებლები აჭარისთვის არის 3% და 13%, იმერეთისთვის – 1% და 12%, სამეგრელოსთვის – 1% და 15%, შიდა ქართლისთვის – 1% და 11%, მცხეთა-მთიანეთისთვის – 4% და 1%, ქვემო ქართლისათვის – 4% და 18%, სამცხე-ჯავახეთისთვის – 1% და 5%, კახეთისთვის – 4% და 18%, რაჭა-ზემო სვანეთისთვის – 0% და 3%, გურიისთვის – 1% და 14%. ყველა რეგიონში მაღალია პირადი კონტაქტებითა და ნაცნობთა რეკომენდაციებით კადრების მოზიდვის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ კადრების მოზიდვის ეს წყარო ყოველთვის არ არის დაკავშირებული ნეპოტიზმთან და საქართველოში იგი ასოცირდება „რეკომენდატორობის ინსტიტუტთან“, რომელიც კადრების მენეჯმენტში აპრობირებული და გამართლებული ფორმაა.

²⁵ www.iom.ge




შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე საშუალებას იყენებენ.


გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოში საჭირო პროცესისა და კვალიფიკაციის კადრების მოუმიებლობის მთავარი მიზეზია ის, რომ დამსაქმებლებს არ აკმაყოფილებთ კანდიდატურების პროცესიული კვალიფიკაციის დონე. დამსაქმებელთა დიდი ნაწილი საქუთარი მომუშავეების კვალიფიკაციის დონითაც უკმაყოფილოა. ამას ადასტურებს IOM-ის მიერ 2007-2010 წლებში ჩატარებული კვეთა კვლევა. წინამდებარე კვლევის შედეგებით, მეწარმეთა 37%-მა გამოხატა უკმაყოფილება საპუთარი მომუშავეების პროცესიონალიზმის მიმართ. ამის მიუხედავად, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების დონისძიებებს სისტემატურად ახორციელებს დამსაქმებელთა მხრივ 21%; დამსაქმებელთა 36% კი ასეთ დონისძიებებს საერთოდ არ მიმართავს (იხ. დიაგრამა 12).



ძირითადი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლები არ ახორციელებენ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, არის ფინანსების ნაკლებობა; 10% ამის მიზეზად ასახელებს სწავლებისათვის დროის უქონლობას, 9% – შესაბამისი ინსტრუქტორების (ტრენერების) მოძიების სირთულეს, 8% – პერსონალის მხრიდან სურვილის (მოტივაციის) არარსებობას. დამსაქმებლების 13%-ის აზრით, სწავლება საერთოდ არაა საჭირო. ამ უკანასკნელთა უმეტესობა მიკრო და მცირე ზომის საწარმოებია, რომლებიც საქმიანობენ ვაჭრობის სფეროში. გამოკითხულ მეწარმეთა 2% კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების გაუტარებლობის მთავარ ხელშემშლელ მიზეზად სწავლების (ტრენინგის) ანალიზის, მისი ჩატარების საჭიროებისა და მიმართულებების განსაზღვრის სირთულეს ასახელებს; 2%-ს არ აკმაყოფილებს სწავლების ხარისხი და ამდენივე ძირითად ხელშემშლელ ფაქტორად რეგიონში შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების არარსებობას ასახელებს (იხ. დიაგრამა 13).




მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ფინანსების ნაკლებობა და/ან ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად უშუალოდ სამუშაო ადგილზე სწავლების ფორმით ხორციელდება: ამ გზას იყენებს დამსაქმებლების 64% (მათგან, ვინც ზრუნავს მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე). სხვადასხვა სპეციალური სასწავლო დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობს მეწარმეთა 21%; 6%-ს ამ მიზნით შექმნილი აქვს საკუთარი სასწავლო ცენტრები (ძირითადად საბანკო სექტორში); 4% საკუთარ მომუშავეებს საზღვარგარეთ უმაღლებს კვალიფიკაციას (ძირითად უცხოური და ერთობლივი (შერეული) საკუთრების საწარმოები), ამდენივე არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ახერხებს მომუშავეთა სწავლებას (იხ. დიაგრამა 14).



მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების კვლევა ადამიანური რესურსების განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის შედეგების მიხედვით, **გამოკითხული მეწარმეების 82%** თანამშრომლებს კვალიფიკაციას აუმაღლებდა შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში. ამ მაჩვენებელში უფრო ზუსტად აისახება იმ პრობლემის სიმწვავე, რასაც თანამშრომელთა კვალიფიკაციით დამსაქმებელთა უკმაყოფილება ჰქვია. პროფესიებისა და სფეროების ჩამონათვალი (იხ. №2 დანართი), რაშიც ისინი ისურვებდნენ თანამშრომელთა გადამზადებას ან კვალიფიკაციის ამაღლებას, უაღრესად ფართოა და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დიდი ძალისხმევა, აქტიურობა და ფინანსებია საჭირო ქვეყანაში სამუშაო ძალის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მეწარმეთა 32% უახლოეს მომავალში გეგმავდა მომუშავეთა რაოდენობის გაზრდას (მათგან 9% – მნიშვნელოვნად, ხოლო 23% – უმნიშვნელოდ), 4% – შემცირებას, 44%-ს ცვლილებები დაგეგმილი არ ჰქონდა; 19%-მა კი არ იცოდა, რა იქნებოდა თუნდაც უახლოესი 6 თვის განმავლობაში (იხ. დიაგრამა 15).




მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების მიუხედავად, უახლოესი 1 წლისა და 2-3 წლის განმავლობაში სამუშაო ძალაზე თავიანთი მოთხოვნები პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით მეწარმეთა აბსოლუტურმა უმრავლესობაში დააფიქსირა (იხ. დანართები №3 და №4). ამ მოთხოვნებში აისახა როგორც მომუშავეთა რაოდენობის ზრდა, ისე მომუშავეთა სტრუქტურის ცვლილება. რა თქმა უნდა, სამუშაო ძალაზე პერსპექტიული მოთხოვნა, ნებისმიერი პროგნოზირების მსგავსად, თავის თავში შეიცავს გარკვეულ ცდომილებებს, მაგრამ ამ მოთხოვნის პროფესიული სტრუქტურა, აგრეთვე, ე. წ. „დეფიციტური პროფესიების“ ჩამონათვალი, არსებითად ასახავს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის თავისებურებებს და შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში მოსამზადებელი კადრების დაგეგმვის, ასევე ზრდასრულთა პროფესიული სწავლების პროგრამების დაგეგმვა/რეალიზაციის პროცესში.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირების ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია ქვეყანაში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების შესახებ შეძლებისდაგვარად დეტალური საინფორმაციო ბაზის შექმნა და საჭირო პროფესიული კადრების წინმსწრები ტემპით მომზადება. ეს ხელს შეუწყობს აღნიშნული პროექტების ეფექტურ განხორციელებასა და ქვეყნის შრომითი პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას.

2.3. ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო აღგილების შექმნის ძირითადი მიმართულებები

ქვეყანაში ახალი სამუშაო აღგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა დიდწილად დამოკიდებულია ბიზნესის განვითარებაზე. კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა მეწარმეთა განწყობა და მოლოდინები მათი ბიზნეს-აქტივობის ცვლილების მიმართულებით. გამოკითხვის შედეგებით, **მეწარმეთა 58%-ს აქვს მოლოდინი, რომ უახლოესი 1 წლის განმავლობაში მათი ბიზნესი გაიზრდება.** აქედან 28% ვარაუდობს მნიშვნელოვან ზრდას, ხოლო 30% – უმნიშვნელო ზრდას. გამოკითხულ მეწარმეთა 20%-მა არ იცის, როგორ შეიცვლება მისი ბიზნესი, ხოლო 13%-ს აქვს მოლოდინი, რომ მისი ბიზნესი უცვლელად დარჩება. პესიმისტური განწყობა (ბიზნესის შეპარავა ან უპერსპექტივობა) გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ 8%-მა დააფიქსირა (იხ. დიაგრამა 16).

დიაგრამა 16



საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მეწარმეთა მოლოდინები მათი ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით მუტ-ნაკლებად ოპტიმისტურია. კერძოდ, იმ მეწარმეთა წილი, რომლებსაც საკუთარი ბიზნესის მნიშვნელოვნად გაზრდის მოლოდინი აქვთ, მეტია აჭარაში, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში; ბიზნესის უმნიშვნელოდ გაზრდის მეტი მოლოდინი აქვთ იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში; უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ბიზნესის შემცირების მომლოდინე მეწარმეების წილი შედარებით მეტია რაჭა-ლეჩხეუმში, იმერეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-

ჯავახეთში. საკუთარ ბიზნესს უპერსპექტივოდ აფასებს სამცხე-ჯავახეთში მოქმედი მეწარმეების 5% და გურიაში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში მოღვაწე ბიზნესმენების 4%. გაურკვეველი მოლოდინის მქონე მეწარმეების წილი ჭარბობს კახეთში, შიდა ქართლში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში (იხ. ცხრილი 2.3.1).

ცხრილი 2.3.1. ბიზნესის ცვლილების მოლოდინი უახლოესი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით (%)

მოლოდინი	ქ. თბილისი	აჭარა	გურია	სამცხე-ჯავახეთი	რაჭა-ლეჩხემი და გუმრანის სამარგანეთი	იმერეთი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	გვარისა-მთიანეთი	კახეთი
მნიშვნელოვნად გაიზრდება	32	42	34	38	14	30	20	28	35	13	27
გაიზრდება უმნიშვნელოდ	32	23	22	21	33	40	30	36	31	35	22
მნიშვნელოვნად შემცირდება	2	3	1	2	3	4	3	2	—	3	1
შემცირდება უმნიშვნელოდ	2	1	—	1	7	5	4	5	—	6	4
არ შეიცვლება	13	15	12	10	29	12	13	12	16	17	13
უპერსპექტივოა	1	1	4	2	—	1	4	5	4	2	4
არ იცის	16	14	25	21	14	8	26	9	11	24	27
არ უპასუხა	2	1	2	5	—	—	—	3	3	—	2
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

ძირითადი გზები, რითაც მეწარმეები აპირებენ საკუთარი ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოებას, შემდეგია (იხ. ცხრილი 2.3.2):

1. პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
2. ახალი ტექნიკის დანერგვა;
3. შრომის ორგანიზაციის სრულყოფა;
4. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება;
5. მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
6. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;
7. მენეჯმენტის გაუმჯობესება და სხვ.

ცხრილი 23.2. ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოების გზები

№	ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოების გზები	საწარმო	%
1	პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება	972	28
2	ახალი ტექნიკის დანერგვა	907	26
3	შრომის ორგანიზაციის სრულყოფა	882	25
4	გასაღების ახალი ბაზრების ათვისება	838	24
5	მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება	780	22
6	ახალი ტექნოლოგიების გამოყენება	676	19
7	მენეჯმენტის გაუმჯობესება	598	17
8	ახალი პროდუქციის გამოშვება (ახალი მომსახურების შეთავაზება)	540	15
9	პროდუქციის გამოშვების გაზრდა (მომსახურების გაფართოება)	460	13
10	ახალი პარტნიორების ჩართვა	357	10
11	არ იცის	346	10
12	საბანკო კრედიტით ან სხვა სესხით	338	10
13	საკუთარი და/ან პარტნიორების დანაზოგით	172	5
14	უცხოური კაპიტალის მოზიდვით	146	4
15	დონორებისა და უცხოელი პარტნიორების დახმარებით	31	1
16	სხვა	4	0
	სულ	8047	231

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება რესპონდენტების საქრთო რაოდენობას, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოებისათვის ახალი ბიზნეს-პარტნიორების ჩართვას გეგმავს გამოკითხულ მეწარმეთა 10%; ამდენივე აპირებს ბანკის კრედიტის ან კერძო პირებისაგან აღებული სესხის გამოყენებას; 5% ამის გაკეთებას გეგმავს საკუთარი და/ან პარტნიორების დანაზოგით, 4% – უცხოური კაპიტალის მოზიდვით. გამოკითხულ მეწარმეთა 10% კი ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოებას აპირებს, თუმცა ნათლად არა აქვს წარმოდგენილი მიზნის მიღწევის კონკრეტული გზები.

პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, როგორც ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოების საშუალება, უფრო ხშირად დაასახელეს მცხეთა-მთიანეთის (43%), გურიის (43%), რაჭა-ლეჩხუმ-ზემო სვანეთის (35%), იმერეთის (34%), სამცხე-ჯავახეთის (32%) მეწარმეებმა; ახალი ტექნიკის დანერგვას უფრო მეტი მეწარმე აპირებს იმერეთში (33%), სამცხე-ჯავახეთში (32%), შიდა ქართლში (29%), რაჭა-ლეჩხუმ-ზემო სვანეთში (28%), ქ. თბილისსა (24%) და აჭარაში (22%). მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებით

ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოების მომლოდინე მეწარმეთა წილი შედარებით მეტია იმერეთში (34%), სამცხე-ჯავახეთში (32%), აჭარაში (30%), ქვემო ქართლში (30%), სამეგრელოში (26%), მცხეთა-მთიანეთსა (25%) და ქ. თბილისში (24%). ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოების კონკრეტული გზების შერჩევა (იხ. ცხრილი 2.3.3), რა თქმა უნდა, ბიზნესის სახეობაზე, წარმოების ტექნიკურ მდგომარეობაზე, მეწარმის ფინანსურ შესაძლებლობებზე, მენეჯერულ უნარზე და სხვა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე გარეშე ფაქტორებს, რომლებიც ბიზნეს-გარემოს ქმნიან.

ცხრილი 2.3.3. ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოების გზები საქართველოს რეგიონების მიხედვით (%)

გზები	ქ. თბილისი	აჭარა	გურია	სამცხე-ჯავახეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	იმერეთი	შიდა ქართველი კუთხით	კახეთი კართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	
გასაღების ახალი ბაზრების ათვისებით	30	24	12	25	10	29	21	24	19	31	18
ახალი ტექნიკის დანერგვით	24	22	20	22	28	33	29	32	24	15	18
ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით	24	23	7	18	13	26	17	26	20	11	13
ახალი პროდუქციის გამოშვებით (ახალი მომსახურების შეთავაზებით)	18	8	7	11	4	22	16	25	7	13	11
პროდუქციის გამოშვების გაზრდით (მომსახურების გაფართოებით)	11	10	4	10	13	14	14	27	9	16	9
პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებით	28	24	43	23	35	34	26	32	19	43	22
წარმოების მართვის გაუმჯობესებით	17	21	11	15	17	22	12	32	18	17	13
შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით	21	26	6	24	36	26	21	56	35	25	19
მომუშავეთა პპალიფიკაციის ამაღლებით	24	30	12	26	15	34	14	32	30	25	14
საკუთარი და/ან პარტნიორების დანაზოგით	4	4	1	3	6	11	5	5	1	11	3
ახალი პარტნიორების ჩართვით	14	11	5	14	8	15	7	10	9	10	5

უცხოური კაპიტალის მოზიდვით	5	3	1	5	1	4	5	6	4	3	2
საბანკო კრედიტით ან სხვა სესხით	9	10	20	8	10	12	10	9	12	11	9
დონორებისა და უცხოელი პარტნიორების დახმარებით	1	1	—	0,2	—	0,1	0,5	1	—	1	4
არ იცის	7	9	—	6	—	5	15	6	9	8	15

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

პკლევის პროცესში შესწავლილი იქნა მეწარმეების, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა მოსაზრებები ქვეყანასა და ოჯგიონში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხტიმულირების შესახებ. მეწარმეებმა დაასახელეს საკმაოდ ფართო წრე იმ დონიდიებებისა, რომლებიც ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად უნდა გატარდეს და შედეგად მოგვცეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმება. გამოკითხვის მიხედვით, ერთ მეწარმეზე გაანგარიშებით, საშუალოდ 4,6 წინადადება იქნა შემოთავაზებული (იხ. ცხრილი 2.3.4).

ცხრილი 2.3.4. ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო აღზილების შემთხვევაში სტიმულირების ღონისძიებები

№	ღონისძიებები	საწარმო	%
1	საბანკო კრედიტზე %-ის შემცირება	2147	62
2	გადასახადების შემცირება	2113	61
3	საგადასახადო პროცედურების გამარტივება	1516	44
4	ბიზნესის გადასახადებისგან გათავისუფლება საქმიანობის პირველი წლის მანძილზე	1459	42
5	ბანკიდან კრედიტის აღების პროცედურების გამარტივება	1201	34
6	ადამიანური რესურსების განვითარება (შესაბამისი კვალიფიკირების კადრების არსებობა)	1165	33
7	პოლიტიკური სტაბილურობა	1101	32
8	რეინვესტირების სახსრების გადასახადებისგან გათავისუფლება	921	26
9	თავისუფალი კონკურენტული გარემოს არსებობა; ანგიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება	854	24
10	სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩარევისა და ბიზნესზე ზეწოლის დაუშვებლობა	713	20
11	პროდუქციის გასაღებისათვის ახალი ბაზრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	512	15
12	ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესის გამარტივება	446	13

13	პროდუქციის ტრანსპორტირებასა და გასაღებაში დახმარება	393	11
14	შრომის კანონმდებლობის სრულყოფა	391	11
15	მცირე ბიზნესისათვის ფიქსირებული გადასახადის დაწესება	377	11
16	სამართლიანი სასამართლოს არსებობა	369	11
17	ბიზნესის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება	356	10
18	დაბალი ფასი ენერგომატარებლებზე; ნედლეულის შემოტანის პროცედურების გამარტივება	4	0
19	მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება	2	0
	სულ	16040	460

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

გამოკითხული მეწარმეების 62%-ის აზრით, ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია საბანკო კრედიტები სარგებლის %-ის შემცირება, ხოლო 34% ბანკიდან სესხის აღების პროცედურების გამარტივებას ითხოვს. ამ რეკომენდაციაში არსებითად აისახა საქართველოში არსებული პრობლემა, რაც უკავშირდება ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობასა და კრედიტის აღების სირთულეს. მეწარმეთა 61% გადასახადების შემცირებას ითხოვს, 44% – საგადასახადო პროცედურების გამარტივებას. საქმე ისაა, რომ საგადასახადო სისტემის რეფორმირების შედეგად, მართალია, მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები, სისტემა მაინც მძიმე ტვირთად აწვება მცირე, დაბალრენტაბელურ ბიზნესებს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობისა და პროცედურების ბუნდოვანი, არადეტალიზებული ხასიათი, ადმინისტრირების პროცესში სუბიექტური შეფასების შესაძლებლობები, მაღალი ჯარიმები – ყოველივე ეს მეწარმეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ამითაც არის განპირობებული ის ფაქტი, რომ გამოკითხულ მეწარმეთა 11% მცირე ბიზნესისათვის ფიქსირებული გადასახადის შემოღების მომხრეა, ამდენივე ითხოვს ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არსებობას. მეწარმეთა 42%-ს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმიანობის პირველი წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლება. ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მეწარმეთა 1/3-ს ადამიანური რესურსების განვითარება და ამ სფეროში სახელმწიფოს მხარდაჭერა მიაჩნია.

მეწარმეთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების ღონისძიებები რეგულირების სფეროების მიხედვით შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

- მეწარმეებისათვის საბანკო კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- საგადასახადო კანონმდებლობისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება; რეინვესტირების სახსრების გადასახებისგან გათავისუფლება;
- თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნა და ბიზნესში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა და ზეწოლის დაუშვებლობა;
- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა;
- პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება;
- ბიზნესისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისის განვითარება;
- ეკონომიკური და შრომითი კანონმდებლობის სრულყოფა;
- ენერგომატარებლებზე, წყალსა და სხვა რესურსებზე ფასების შემცირება; ხედლეულის, მასალებისა და მოწყობილობების შემოტანის პროცედურების გამარტივება.

აღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება/სრულყოფა კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს-გარემოს და ხელს შეუწყობს ბიზნესის ეფექტურობის გაზრდას, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ბუნებრივი წინაპირობა და რეალური გზაა. გარდა ამისა, შესაძლებელია სპეციალური ღონისძიებების შემუშავება/რეალიზაცია დასაქმების აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის დამატებითი ეკონომიკური ბერკეტების (შედავათების, სუბსიდიების და სხვ.) გამოყენების, დაბალკონურენტუნარიან პირთა დასაქმების ხელშეწყობის, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვ. მიმართულებებით.

საქართველოში დასაქმებულთა განაწილების სპეციფიკიდან გამომდინარე (ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დასაქმებულთა 54% სოფლის მეურნეობაშია კონკურენტული), ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაწარებისა და დასაქმებულთა შემოსავლების გაზრდისათვის

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევას.** ამ მიზნით წინამდებარე კვლევის ფარგლებში, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, შესწავლილი იქნა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გამგეობების წარმომადგენლების, სოფლის რწმუნებულების, ფერმერების მოსაზრებები. გამოკითხვის შედეგებში აისახა როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი გარემოებები, ისე ამ გარემოებათა დაძლევის რეკომენდაციები.

კითხვაზე - „რა არის საჭირო თქმებს რაიონში (სოფელში) სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის?“ - გაცემულ რანჟირებულ პასუხებში ფაქტობრივად აისახა სოფლად არსებული პრობლემები და ის მიმართულებები, რომელთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებასაც ელოდება საქართველოს სოფლის მოსახლეობა (იხ. ცხრილი 2.3.5). ეს მიმართულებებია:

- მინერალურ სასუქებზე, შხამ-ქიმიკატებსა და პესტიციდებზე ფასების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- პროდუქციის ტრანსპორტირებისა და გასაღების სისტემის განვითარება, პროდუქციის ჩაბარების პუნქტების შექმნა/განვითარება;
- მანქანა-ტრაქტორების ტექნიკური პარკების შექმნა და/ან მათ შესაძენად შედავათიანი კრედიტების გაცემა;
- საჭირო პროფესიის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- სანერგე და სათესლე მეურნეობების შექმნა-განვითარება;
- საწვავზე ხელმისაწვდომი ფასები;
- ნიადაგის შესწავლა ლაბორატორიულად;
- მარკეტინგული კვლევების ჩატარება;
- სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა;
- ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურებისა და გადამზადების ცენტრების შექმნა.

ცხრილი 2.3.5. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები

№	ღონისძიებები	საწარმო	%
1	სასუქებისა და პესტიციდების გაიაფება	435	66
2	პროდუქციის ჩაბარების პუნქტების შექმნა	424	65
3	პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების ადგილზე შექმნა	381	58

4	მანქანა-ტრაქტორების პარკის შექმნა	363	55
5	მანქანა-ტრაქტორების შესაძენად შედავათიანი კრედიტები	325	49
6	სარწყავი სისტემის განვითარება (აღდგენა ან ახლის გაკეთება)	300	46
7	საჭირო პროფესიის კვალიფიციური კადრები	232	35
8	პროდუქციის გადაზიდვა-გასაღების სისტემის განვითარება	229	35
9	შანერგე-სათესლე მეურნეობების შექმნა-განვითარება	204	31
10	საწვავის გაიაფება	10	2
11	ნიადაგის შესწავლა ლაბორატორიულად	1	0
12	სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა	1	0
13	მარკეტინგული კვლევების ჩატარება	1	0
14	ფერმერთა კონსულტირება-გადამზადების ცენტრების შექმნა	1	0
	სულ	2907	442

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

ფერმერებს სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდებათ საირიგაციო სისტემის განვითარების, მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და ჰესპიციდების ხელმისაწვდომობის მიმართულებებით. ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ გაააქტიურა ძალისხმევა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის საქმეში, მაგრამ ვთარება ჯერ კიდევ მძიმეა, რაც აისახა კიდევ კვლევის შედეგებში.

სოფლის მეურნეობისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა და ფერმერთა დიდი ნაწილისათვის მათი ხელმისუწვდომლობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფერმერები ამ ტექნიკის შესაძენად შედავათიან კრედიტებს ითხოვენ. ფერმერთა მცირემიწიანობის გამო გამართლებულია ასევე მანქანა-ტრაქტორთა სპეციალური ტექნიკური პარკების ჩამოყალიბება, რომლებიც საიჯარო პრინციპით მოემსახურებიან ფერმერებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ **საქართველოში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდი დეფიციტია.** განსაკუთრებით დეფიციტურ კადრებად დასახელდა: აგრონომი, ვეტერინარი, ვეტექიმი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მექანიზატორი და მექანიკოსი, ენტომოლოგი (მცენარეთა დაცვის სპეციალისტი), აგრო-ინჟინერი, აგრო-ტექნიკოსი, აგრო-ქიმიკოსი, ზოოტექნიკოსი, სელექციონერი, ვეტეფერშალი, ნიადაგმცოდნე და სხვ. მართალია, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ გაიგზავნა 100 ახალგაზრდა აგრონომი,

მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება ამ სპეციალობის კადრებზე არსებული დეფიციტის შესავსებად. ცნობილია, რომ საქართველოში არსებობს დიდი ისტორიისა და გამოცდილების მქონე პროფილური სასწავლო დაწესებულებები და მასწავლებელთა კადრები. სახელმწიფოს მხრიდან მათი სათანადო მხარდაჭერის პირობებში (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება), შესაძლებელია სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კადრების ადგილზე მომზადება. აღნიშნული პროფესიების შესწავლით ახალგაზრდების დაინტერესების მიზნით, ამ ეტაპზე შეიძლება გამართლებული იყოს სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის გარკვეული სტიმულირება, კერძოდ, დიდ სასოფლო თემებში აგრონომისა და ვეტერინარის საშტატო ერთეულებით დაკომპლექტებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა.

აღნიშნულ ღონისძიებათა რეალიზაციის გარდა, ქალაქებისა და რაიონების გამგეობების წარმომადგენლების, სოფლის რწმუნებულებისა და ფერმერების აზრით, აუცილებელია ფერმერების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება. რესპონდენტების მიერ დასახელდა საკმაოდ ფართო სპექტრი იმ საკითხებისა, რაშიც ფერმერებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება (იხ. ცხრილი 2.3.6).

ცხრილი 2.3.6. საკითხები, რაშიც ფერმერებს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება სპირდებათ

№	საკითხები	პასუხების №	%
1	შინაური ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა მკურნალობა	410	62
2	სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნიკა	310	47
3	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის ტექნოლოგია	283	43
4	ნიადაგის დამუშავების საფუძვლები	280	43
5	ბიზნესის საფუძვლები	266	40
6	შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა და კვება	261	40
7	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა/შეკვეთება	230	35
8	საგადასახადო კანონმდებლობა	203	31
9	მენეჯმენტის საფუძვლები	201	31
10	მცენარეთა სელექცია და მოვლა	200	30
11	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავება	182	28
12	პროდუქციის პირველადი დამუშავება	171	26
13	შრომის დაცვისა და უსაფრთხოების საშუალებები	162	25
14	შინაური ცხოველების სელექცია და რეპროდუქცია	158	24

15	მარკეტინგის საფუძვლები	158	24
16	შრომის კანონმდებლობა	141	21
17	სხვა	3	0
	სულ	3619	551

შენიშვნა: კითხვაზე პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს, ვინაიდან შესაძლებელი იყო ერთდროულად რამდენიმე პასუხის გაცემა.

მირითადი საკითხები, რაშიც საჭიროა ფერმერების ცოდნისა და უნარების განვითარება, უკავშირდება შინაური ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობას. ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში მეცხოველეობასა და მეფრინველეობას დიდი ზარალი მიადგა სხვადასხვა სახის დაავადებებით განპირობებული სიკვდილიანობის გამო. სამწუხაროდ, საქართველოში უაღრესად შეიკვეცა სოფლად ცხოველებისა და მცენარეების პროფილაქტიკური მკურნალობის სახელმწიფო პროგრამები და ეს კომპონენტი მირითადად ფერმერების მისახედია. ახალი სამკურნალო საშუალებების გამოყენების ცოდნა და უნარ-ჩვევები მათ, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ, რის შესახებაც ნათლად მეტყველებს კვლევის შედეგები. არდა ამისა, ფერმერები დახმარებას ითხოვენ აგროტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის, ნიადაგის დამუშავების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა/შეკეთების სფეროებში. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კვლევის შედეგებით დაფიქსირდა ფერმერებისათვის ბიზნესის, მარკეტინგის, საგადასახადო, სამეწარმეო და სხვა კანონმდებლობის ცოდნის შეძენის საჭიროებაც. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს ფერმერებისათვის სპეციალური ტრენინგების დაგეგმვა/ორგანიზების პროცესში. სოფლად მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონისა და ფერმერთა მცირე შემოსავლების გათვალისწინებით, ტრენინგების ორგანიზება/ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფომ და/ან დონორმა ორგანიზაციებმა უნდა იტვირთონ.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ასევე რესპონდენტთა მოსახრებები იმასთან დაკავშირებით, თუ მეურნეობის რომელი დარგები უნდა იყოს საქართველოსთვის პრიორიტეტული. მეწარმეების, გამგებლების, სოფლის რწმუნებულების, ფერმერების აზრის შეჯერებით პრიორიტეტულად დასახელდა:

I. სოფლის მეურნეობა;

- II. ტურიზმი;
- III. გადამამუშავებელი მრეწველობა;
- IV. განათლება;
- V. ჯანდაცვა;
- VI. მშენებლობა;
- VII. ენერგეტიკა;
- VIII. საბანკო სექტორი;
- IX. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- X. გარემოს დაცვა.

აღნიშნული ჩამონათვალი ფაქტიურად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის შეხედულებას წარმოადგენს. ამ მიმართულებებით ხელისუფლების ძალისხმევის წარმართვა ხელს შეუწყობს ორგორც აღნიშნულ სფეროებში დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერებისა და შემოსავლების გაზრდას, ისე ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და უმუშევრობის მნიშვნელოვნად შემცირებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებლებისა და ჩატარებული სპეციალური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი შეფასებების გაკეთება:

- ✓ საქართველოსთვის უმუშევრობა კვლავ რჩება ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად. უმუშევრობა ძირითადად ციკლური ხასიათისაა. მაღალია ასევე ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის დონე.
- ✓ უმუშევრობის გამომწვევი მთავარი ფაქტორია შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც ეკონომიკის განვითარების ჯერ კიდევ დაბალი დონითა და სამუშაო ადგილების სიმცირით არის განაპირობებული. უკანასკნელ წლებში საქართველოში გატარებული რეფორმების, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპები, მაგრამ მეურნეობის ზოგიერთ დარგში (მშენებლობა, მომსახურება) ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა მომუშავეთა რაოდენობის ოპტიმიზაცია (განსაკუთრებით, სახელმწიფო სექტორში). ამის შედეგად, სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა ქვეყნაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 2008 წლის აგვისტოს საომარმა მოქმედებებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დასაქმებაზეც იქონია ნეგატიური გავლენა.

- ✓ 1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკურმა კოლაფსმა და ხანგრძლივმა ეკონომიკურმა სტაგნაციამ უმუშევრობის ხანგრძლივი ხასიათი განაპირობა. ეს კიდევ უფრო ამწვავებს უმუშევრობის ნეგატიურ შედეგებს, რადგან ხანგრძლივად უმუშევართა პროფესიული და შრომითი რეაბილიტაცია სახელმწიფოსა და საზოგადოების დამატებით ძალისხმევასა და ხარჯებს მოითხოვს.
- ✓ უმუშევრობის მაღალ დონესა და ხანგრძლივ ხასიათს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში დომინირებს „მეორადი შრომის ბაზარი“ დაბალი ანაზღაურებითა და შრომის მძიმე პირობებით. სამუშაო ძალის მიწოდებაში კი ჭარბობენ უმაღლესი განათლების ცენტრები და მაღალი მოლოდინების მქონე კადრები.
- ✓ საქართველოსთვის მწვავეა რეგიონული და სეზონური უმუშევრობის პრობლემები. უკანასკნელ წლებში რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ხელისუფლების მიერ წარმოებული ღონისძიებები პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის დასაქმებაზეც.
- ✓ საქართველოში ჯერ კიდევ დიდია აშკარა და ფარული არასრული დასაქმებით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები. დაბალია დასაქმებულთა შრომის ეფექტურობაც. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 1/3-ია დაქირავებით მომუშავე, 2/3-ს კი თვითდასაქმებულები შეადგენენ. თვითდასაქმებულთა 85% სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული, სადაც დასაქმება არასრული, არაფორმალური და დაბალეფექტურია. შესაბამისად, დასაქმების სფეროში სიტუაციის გაუმჯობესება ძირითადად სოფლის მეურნეობისა

და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოების განვითარებაზეა დამოკიდებული.

- ✓ საქართველოში დაბალია სამუშაო ძალის ღირებულება. უკანასკნელ წლებში ნომინალური ხელფასის ომდენჯერმე გაზრდის მიუხედავად, დაქირავებით მომუშავეთა 1/3-ის ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება და შრომის მძიმე პირობები უარყოფითად აისახება მომუშავეთა შრომით მოტივაციასა და ნაყოფიერებაზე.
- ✓ უმუშევრობის მაღალი დონე და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავლები ქვეყანაში სიდარიბის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია. ამიტომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება დასაქმების სფეროში არსებული სიტუაციის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული.
- ✓ ქვეყანაში დასაქმების შეზღუდულმა შესაძლებლობებმა და შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სიმცირემ ხელი შეუწყო მოსახლეობის ყველაზე აქტიური, შრომისუნარიანი ნაწილის შრომით ემიგრაციას ახლო თუ შორეულ უცხოეთში. ემიგრაციის მასშტაბები 1990-იან წლებში საქართველოსთვის საგანგაშო იყო. უკანასკნელ წლებში ფიქსირდება შრომითი ემიგრაციის მასშტაბების შემცირება და იზრდება ქვეყანაში დაბრუნებულ თანამემამულეთა რაოდენობა. ქვეყანაში მათი დამკვიდრება და მოსახლეობის ემიგრაციული განწყობის შემცირება დიდწილად მათი დასაქმების შესაძლებლობებსა და პირობებზეა დამოკიდებული.
- ✓ საქართველოს შრომის ბაზარზე არასაკმარისი მოთხოვნით განპირობებულ უმუშევრობას კიდევ უფრო ამწვავებს პროფესიებისა და კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი: მომზადებული კადრების პროფესიული სტრუქტურა და მომზადების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს. მთელი რიგი პროფესიის კადრები ქვეყანაში მომზადება ჭარბი რაოდენობით და იმავდროულად არსებობს პროფესიათა ფართო სპექტრი, რომლებზეც მოთხოვნა დაუკმაყოფილებელია და რომელთა მომზადება ქვეყანაში არ ხდება.

- ✓ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, მოსახლეობის დაბალ შემოსავლებთან ერთად, განაპირობებს სამუშაო ძალის დაბალ პროფესიულ მობილურობას, სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების განუვითარებლობას, ე.წ.
„ხელჩაქნეული“ უმუშევრების დიდ რაოდენობას.
- ✓ დასაქმების სფეროში დაგროვილი პრობლემების გადაჭრა ძირითადად ბიზნეს-სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული. კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში ბიზნესი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. იგი ძირითადად მიკრო და მცირე ზომის საწარმოებით არის წარმოდგენილი და თითქმის მთლიანად აღგილობრივ და ქვეყნის შიდა ბაზარზეა ორიენტირებული.
- ✓ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისათვის გატარებული რეფორმების მიუხედავად, ბიზნეს-სექტორი სწრაფი ტემპებით ჯერ კიდევ ვერ ვითარდება. კვლევის შედეგებით, საქართველოში მოქმედი საწარმოების დაახლოებით 1/3 ბოლო ერთი წლის განმავლობაში დინამიურად განვითარდა, 1/3 – სტაგნაციის მდგომარეობაშია და 1/3-სათვის მდგომარეობა გაუარესდა.
- ✓ ბიზნესის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორებია მოთხოვნა პროდუქციასა და მომსახურებაზე, პროდუქციის/მომსახურების მაღალი ხარისხი, მაღალკვალიფიციური კადრები და ეფექტური მართვა. აღნიშნული ფაქტორები ბიზნესის განვითარების ენდოგენური ფაქტორებია. ხელშემწყობ ფაქტორთა შორის საკმაოდ ხშირად დასახელდა ბიზნეს-გარემოს განმსაზღვრელი ეგზოგენური ფაქტორებიც, როგორიცაა სახელმწიფოს დახმარება/მხარდაჭერა (სახელმწიფო პროგრამები, ტენდერები და სხვ.), ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.
- ✓ ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებში დომინირებს როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორები (მაღალი კონკურენცია, ეკონომიკური კრიზისი, გასაღების ბაზრის შეზღუდულობა და ა.შ.), ისე პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული და სხვა ხასიათის პრობლემები. ბიზნესის განვითარების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია

ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობა, რაც საკრედიტო ბაზრის განუვითარებლობასა და საბანკო კრედიტის აღების სირთულეს უკავშირდება.

- ✓ სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მომუშავეთა პროფესიონალიზმზე. კვლევის შედეგების მიხედვით, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ 28 ფაქტორს შორის მე-3 ადგილზე მომუშავეთა პროფესიონალიზმი დასახელდა, ხელშემშლელ ფაქტორებს შორის კი ამ ფაქტორს 29 ფაქტორს შორის მე-14 ადგილი დაიკავა.
- ✓ მეწარმეთა 1/3-ზე მეტს პრობლემები აქვს საჭირო კადრების მოძიება-მოზიდვის სფეროში. მომუშავეთა კატეგორიები, რომელთა მოძიებაც დამსაქმებლებისათვის რთულია, უმეტესად კვალიფიციური მუშებია. კერძოდ, რთულად მოსაძიებელი კადრების 60%-ზე მეტი კვალიფიციური მუშათა კადრებია.
- ✓ მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებისათვის რთულია საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება, ობიექტური და სუბიექტური ხასიათისაა. ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება ის გარემოება, რომ მთელი რიგი პროფესიის კადრები რეგიონსა და ქვეყანაში არ მზადდება. სუბიექტურ მიზეზებს კი მიეკუთვნება გარემოები, როცა პიროვნებებს არ სურთ კონკრეტულ რეგიონში ანდა შემოთავაზებულ ხელფასზე მუშაობა. ძირითადი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია საჭირო კადრების მოძიება, არის სასურველი კვალიფიკაციის კადრების დეფიციტი.
- ✓ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებელობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ დამსაქმებელთა დიდმა ნაწილმა არ იცის სად მოიძიოს საჭირო კადრი და ვის მიმართოს დახმარებისთვის. ეს აისახება კადრების მოძიების დამსაქმებლების მიერ გამოყენებულ საშუალებებშიც: საქართველოში კადრების მოძიების ყველაზე ფართოდ გავრცელებული გზაა პირადი კონტაქტები და ნაცნობთა რეკომენდაციები.
- ✓ დამსაქმებელთა დიდი ნაწილი საკუთარი მომუშავეების კვალიფიკაციის დონით უკმაყოფილოა, რაც კადრების მომზადება/გადამზადების

ეფექტური სისტემის ფორმირების აუცილებლობასა და მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიანიშნება.

- ✓ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების დონისძიებებს სისტემატურად ახორციელებს დამსაქმებელთა მხოლოდ 1/5. ძირითადი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლები არ ატარებენ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების დონისძიებებს, არის ფინანსების ნაკლებობა. ეს განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად უშუალოდ სამუშაო ადგილზე სწავლების ფორმით ხორციელდება. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მეწარმეების 82% საკუთარ თანამშრომლებს კვალიფიკაციას აუმაღლებდა.
- ✓ სირთულეების მიუხედავად, მეწარმეთა განწყობა და მოლოდინები ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით ოპტიმისტურია. მეწარმეთა უმეტესობა აპირებს შეინარჩუნოს და გააფართოვოს საკუთარი ბიზნესი. ამისათვის ისინი ძირითადად შემდეგი გზების გამოყენებას აპირებენ: პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; ახალი ტექნიკის დანერგვა; შრომის ორგანიზაციის სრულყოფა; გასაღების ახალი ბაზრების ათვისება; მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება; ახალი ტექნოლოგიების გამოყენება; მენეჯმენტის გაუმჯობესება და სხვ.

ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და ახალი სამუშაო ადგილების მეტი რაოდენობით შექმნა. ეს კი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებითაა შესაძლებელი. გამოკითხულ მეწარმეთა აზრის გათვალისწინებით, ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების მიზნით აუცილებელია დონისძიებების შემუშავება და გატარება შემდეგი მიმართულებებით:

- მეწარმეებისათვის საბანკო კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- საგადასახადო კანონმდებლობისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება; რეინვესტირების სახსრების გადასახადებისგან გათავისუფლება;
- თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნა და ბიზნესში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა და ზეწოლის დაუშვებლობა;
- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა;

- პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება;
- ბიზნესისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისის განვითარება;
- ეკონომიკური და შრომითი კანონმდებლობის სრულყოფა;
- ენერგომატარებლებზე, წყალსა და სხვა რესურსებზე ფასების შემცირება; ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობების შემოტანის პროცედურების გამარტივება.

დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება არსებითად არის დამოკიდებული ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. გამოკითხული ფერმერების, სოფლის რწმუნებულებისა და გამგეობის წარმომადგენელთა მოსაზრებებით, **საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დასაძლევად საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა შემდეგი მიმართულებებით:**

- ხელმისაწვდომი ფასები მინერალურ სასუქებზე, შხამ-ქიმიკატებსა და ჰესტიციდებზე;
- პროდუქციის გადაზიდვა-გასაღების სისტემის განვითარება, პროდუქციის ჩაბარების პუნქტების შექმნა/განვითარება;
- მანქანა-ტრაქტორების ტექნიკური პარკების შექმნა და/ან მათ შესაძენად შედაგათიანი კრედიტების გაცემა;
- საჭირო პროფესიის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- სანერგე და სათესლე მეურნეობების შექმნა-განვითარება;
- საწვავზე ხელმისაწვდომი ფასები;
- ნიადაგის შესწავლა ლაბორატორიულად;
- მარკეტინგული კვლევების ჩატარება;
- სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა;
- ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურებისა და გადამზადების ცენტრების შექმნა.

აღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება/სრულყოფა ხელს შეუწყობს ბიზნესის ეფექტურობის გაზრდას, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობა და რეალური გზაა. გარდა ამისა, საჭიროა სპეციალური ღონისძიებების შემუშავება/რეალიზაცია დასაქმების აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და შრომის

ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის პირობების შესაქმნელად. ძირითადი სფეროები და მიმართულებები, სადაც რომის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები უნდა გატარდეს, შემდეგია:

- დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება/რეალიზაციისათვის სპეციალური სახელმწიფო უწყების (სამინისტრო ან დეპარტამენტი) შექმნა;
- შრომის ბაზრის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის შექმნა/სრულყოფა;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება;
- სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლის (შრომის ბაზრის კვლევის) მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;
- პროფესიული კადრების მომზადების სისტემის მიახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- პროფესიული კადრების მომზადების დაგეგმვის, სწავლებისა და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობა;
- სამუშაო ძალის მობილურობის ამაღლებისათვის სპეციალური საკონსულტაციო (პროფორიენტაციის, კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის) სამსახურების ქსელის განვითარება;
- ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარება;
- შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მეზობელ და გვროკავშირის ქეყნებთან სამუშაო ძალის ლეგალურად გაცვლის (ლეგალური შრომითი მიგრაციის) ხელშეწყობა.

თანამედროვე ეტაპზე ეფექტურად მომუშავე შრომის ბაზრის ჩამოუყალიბებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. და პირიქით, ეკონომიკური სტაგნაცია შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ხელშემშლელი ფაქტორია. ამიტომ სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო საკანონმდებლო-ორგანიზაციული პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, აუცილებელია შრომის ბაზრის ელემენტების განვითარების ხელშეწყობა და ამ სფეროში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების როლის გაზრდა.

დ ა ნ ა ო თ ე ბ ი

**დანართი 1. პროცესიები, რომელთა პადრების მოძიება დამსაქმნებლისთვის
პროგლემატურია**

(რანჟირებულია რესპონდენტთა რაოდენობის მიხედვით, რომლებმაც მოცემული
პროცესის სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრი დეფიციტურად დაასახელეს)

ქ. თბილისი	
პროცესია	საწარმოების რაოდენობა
1 მზარეული, კულინარი	18
2 ბუღალტერი	16
3 გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი, მარკეტოლოგი	16
4 მიმტანი	15
5 გაყიდვების კონსულტანტი, აგენტი, პრომოუტერი	14
6 IT სპეციალისტი, პროგრამისტი	14
7 მენეჯერი, პროექტის მენეჯერი	13
8 ექთანი	12
9 მცხობელი, მზელავი	12
10 იურისტი	10
11 ფარმაცევტი, ფარმაკოლოგი	10
12 ელ. შემდუღებელი	10
13 სანიტარი, თეორეტიკოსის მრეცხავი	9
14 დისტრიბუტორი	9
15 პედაგოგი (უნარ-ჩვევები, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქართული, ისტორია, მათემატ., ფიზიკა, ხატვის, უცხო ენის, უმაღლეს სასწავლებელში და სხვ.)	9
16 ელექტრიკოსი	8
17 უცხო ენის სპეციალისტი, თარჯიმანი	8
18 მოლარე-ოპერატორი	8
19 გამყიდველი	8
20 პარიკმახერი, სტილისტი	7
21 კოსმეტოლოგი	7
22 კვების ტექნოლოგი	7
23 კონდიტერი	7
24 დამლაგებელი, მექანიკე	7
25 ეკონომისტი, საქონელმცოდნე, სტატისტიკოსი	5
26 პოლიგრაფისტი (მბეჭდავი, დამკაბადონებელი, ამკინდავი)	5
27 მძღოლი	5
28 დამხმარე მუშა	5
29 ხარაგი	5
30 ინჟინერ-მექანიკოსი	4

31	პიარ-მენეჯერი	4
32	გეოდეზისტი, გეოლოგი, ტოპოგრაფი, ამზომველი	4
33	მექანიზატორი (მემანქანე) საგზაო, სამშენებლო ტექნიკის	4
34	ჟურნალისტი	4
35	დურგალი, ხურო	4
36	მომმარაგებელი, ლოჯისტიკის სპეც., სუპერვაიზერი	4
37	ენდოკრინოლოგი	4
38	მლესავი, მებათქაშე	3
39	ექიმი-თერაპევტი	3
40	ფსიქიატრი, ფსიქო-თერაპევტი	3
41	მებეტონე, მეარმატურე	3
42	ინჟინერ-მშენებელი (გზების, ხიდების, შენობების, გვირაბების)	3
43	ექიმი-ორთოპედი	3
44	ინჟინერი	3
45	ავტოშემკეთებელი (ძრავის, სავალი ნაწილის, კოლოფის, მეთუნექე, ზეინკალი, მლებავი, ვულკანიზაცია და სხვ.)	3
46	აუდიტორი	3
47	ინჟინერ-ელექტრიკოსი	3
48	ელექტრო შემკეთებელი (ელექტრო მექანიკოსი)	3
49	მკერავი	3
50	ქვის, მარმარილოს დამმუშავებელი, მხერხავი, მთლელი, გამპირალებელი	3
51	საოფისე პერსონალი (მდივან-რეზერვისტი, ოფის მენეჯერი)	3
52	ოპერატორი (კავშირგაბმულობა, სატელეფონო)	2
53	ოპერატორი კვების მრეწველობა	2
54	ინჟინერ-ენერგეტიკოსი	2
55	ოქრომჭედელი, იუველირი	2
56	ადმინისტრატორი (ჯანდაცვა), კლინიკის მენეჯერი	2
57	დარაჯი	2
58	მასაჟისტი, სპა ცენტრის სპეციალისტი	2
59	მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი	2
60	ინჟინერი პიდრო, მელიორატორი	2
61	ოფთალმოლოგი	2
62	სპორტის მასწავლებელი/ტრენერი	2
